

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2009, # 7

ნარკოტიკული დანაშაული

1. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა
2. ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

**1. საქართველოში ნარკოტიკული
საშუალების
უკანონოდ შემოტანა**

განჩინება

#381-აპ-09

5 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 11 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით თ. ჯ-ე, - ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (2007 წლის დეკემბრისა და 2008 წლის 9 თებერვლის ეპიზოდები) და 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2008 წლის 10 თებერვლიდან.

თ. ჯ-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური სარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით თ. ჯ-ს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღებისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით (ორი ეპიზოდი); ასევე, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის დეკემბერში ბათუმში თ. ჯ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის მეგობარ ნ. კ-ს და წინასწარ შეთანხმებისამებრ, თ. ჯ-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან განსაკუთრებით დიდი ოდენობით, უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ასევე უკანონოდ შეინახა ნ. კ-ს დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ბათუმში., და გადასცა ამ უკანასკნელს შემდგომში რეალიზაციის მიზნით. ნ. კ-მ 6 „ბაზად“ და რამდენიმე „ჩეკად“ დაფასოებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“, 2400 აშშ დოლარად გაასალა ნ. კ-მეზე, ხოლო დარჩენილი 14 „ბაში“ ნარკოტიკული საშუალებიდან - 10 „ბაში“, 2008 წლის იანვარსა და თებერვალში - 8000 აშშ დოლარად უკანონოდ გაასალა ვინმე „გ.ე.“ თ. ჯ-მ ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით - 56, 8 გრამი, დაფასოებული 40 ე.წ. „ჩეკად“ და 3 ე.წ. „ბაზად“, უკანონოდ შეინახა ნ. კ-ს დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ბათუმში, საძინებელ ოთახში არსებულ კარადაში. მითითებული ნარკოტიკი 2008 წლის 10 თებერვალს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს სამართალდამცველებმა.

2008 წლის 6 თებერვალს ნ. კ-მ თ. ჯ-სთან წინასწარი შეთანხმებით, მასთან - თურქეთის რესპუბლიკაში წაიყვანა თავისი მეგობარი მ. ო-ე.

2008 წლის 9 თებერვალს თ. ჯ-მ უცხო პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 430,84 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც დაფასოებული იყო 38 ცალად მწებავ ლენტში და მოთავსებული იყო წინასწარ შერჩეულ, შავი ფერის ქალის ფეხსაცმელში, ფეხსაცმლის ფეხსაგებსა და ძირს შორის. თ. ჯ-მ, ნ. კ-ე და მ. ო-ე შეთანხმებისამებრ, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბულიდან ავტობუსით გამოემგზავრნენ საქართველოში. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ თ. ჯ-მ მ. ო-ს გადასცა ფეხსაცმელი, რომელშიც მოთავსებუ-

ლი იყო ხსენებული ნარკოტიკული საშუალება. მ. ო-მ ჩაიცვა ეს ფეხსაცმელი და ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალება გადმოზიდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე, ხოლო 2008 წლის 10 თებერვალს, სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით, უკანონოდ შემოიტანა საქართველოში. სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის მიმდებარედ, საქართველოს ტერიტორიაზე, ისინი დააკავეს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მირანდა ოქროპირიძის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ზემოაღნიშნული სახეობისა და ოდენობის ნარკოტიკული საშუალება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 სექტემბრის დადგენილებით განსასჯელების - თ. ჯ-ა და ნ. კ-ს მიმართ შეწყდა წარმოება საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და IV ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

სასამართლო კამათის სტადიაზე სახელმწიფო ბრალმდებელმა ა. კ-ა მხარი დაუჭირა ბრალდების ფორმულირებას და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა 2007 წლის დეკემბრის ეპიზოდში თ. ჯ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და III ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (46,6 და 10,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით) და 2008 წლის 9 თებერვლის ეპიზოდში - საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და III ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით), ასევე - სსკ-ის 262-ე მუხლის II ნაწილის "ბ" და IV ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (საქართველოში 430,84 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" უკანონოდ შემოტანა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით).

აპელანტი, მსჯავრდებული თ. ჯ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ. კ-ე თავიანთი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ მსჯავრდებულის უდანაშაულოდ ცნობას და გამართლებას განსაკუთრებით დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“, წონით - 46,6 და 10,2 გრამის, უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გასაღების ბრალდებაში. რაც შეეხება ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“, წონით - 430,84 გრამი, ამოღების ეპიზოდს, ისინი ითხოვდნენ მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ თ. ჯ-მ თურქეთიდან საქართველოში ნარკოტიკული საშუალების შემოტანით ჩაიდინა მხოლოდ დენადი დანაშაული და ამ შემთხვევაში მსჯავრდებულის ქმედების დამატებით დაკვალიფიცირება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით საჭირო არ არის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა თ. ჯ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა უკანონო განაჩენში ცვლილების შეტანა, ბრალდებიდან 2007 წლის დეკემბრის ეპიზოდის ამორიცხვა, ხოლო 2008 წლის თებერვალში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილით და სასჯელად - 15 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულ თ. ჯ-ს ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების: ნ. კ-ს, მ. ო-ს, ნ. კ-ს, ი. ა-ს ჩვენებით, საქართველოს შსს-ს სოდის აჭარის სამმართველოს თანამშრომლების: რ. დ-ს, რ. კ-ს, დ. ბ-ს, ზ. ზ-ს, ვ. ხ-ს, უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ თ. მ-ს ჩვენებებით, ექვმიტანილის სახით დაკავების ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ დასკვნით, ამოღების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით თ. ჯ-მის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, 2008 წლის 9 თებერვალს 430,84 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ გასაღების ეპიზოდის გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ თ. ჯ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ბრალდებიდან 2007 წლის დეკემბრის ეპიზოდის ამორიცხვის შესახებ, 2008 წლის თებერვლის ეპიზოდის დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილით და სასჯელად 15 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, უსაფუძვლობის გამო.

პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ 2007 წლის დეკემბრის ეპიზოდში (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 46, 6 და 10,2 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით) სწორად დააკვალიფიცირა თ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული და განუსაზღვრა ისეთი სასჯელი, რომელიც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებას.

რაც შეეხება 2008 წლის 9 თებერვლის ეპიზოდს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით - 430,84 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გასაღება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ასევე საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), პალატა თვლის, რომ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი არ მოიცავს 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს, ამ შემთხვევაში სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი დამოუკიდებელი დანაშაულის ჩადენა, რადგან სსკ-ის 262-ე მუხლის დისპოზიცია არ ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვას და დასჯად ქმედებად ხდის მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანას, რის გამოც იგი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელ დანაშაულად და მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაცია. ასევე ცალკე კვალიფიკაცია უნდა მიეცეს თ. ჯ-მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანას, რაც სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად დააკვალიფიცირა როგორც 2007 წლის დეკემბრის ეპიზოდში, ასევე, 2008 წლის თებერვლის ეპიზოდში.

რაც შეეხება 2008 წლის 9 თებერვლის ეპიზოდში თ. ჯ-ს ნარკოტიკული საშუალების გასაღების შერაცხვას, პალატის აზრით, არასწორია, რადგან სააპელაციო სასამართლო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ დანაშაულში გასცდა ბრალდების ფორმულირებას და მსჯავრდებულს ზედმეტად შეუფარდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღება.

საქართველოს სსსკ-ის 450-ე მუხლის თანახმად, „საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ“. იმავე კოდექსის 540-ე მუხლის II ნაწილის თანახმად კი „სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს, გასცდეს ბრალდების ფარგლებს, რომელიც მსჯავრდებულს წაუყენეს წინასწარი გამოძიების დროს და რომელსაც მხარი დაუჭირეს პირველი ინსტანციის სასამართლოში“.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით დადგინდად მიიჩნია მსჯავრდებულ თ. ჯ-ს მიერ 2008 წლის 9 თებერვლის ეპიზოდში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვის ფაქტი, რაც უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ თ. ჯ-ს უნდა ამორიცხოს ზედმეტად წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღება (2008 წლის 9 თებერვლის ეპიზოდი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლითა და 615-ე მუხლის I ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განაჩენი თ. ჯ-ს მიმართ შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ თ. ჯ-ს ამოერიცხოს ზედმეტად წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღება (2008 წლის 9 თებერვლის ეპიზოდი).

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

განჩინება

#583-აპ

2 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეიერი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ბ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენით ს. ბ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 17 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ს. ბ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 5 ივლისიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ს. ბ-ს ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 5 წლის ვადით, ხოლო საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები - 15 წლის ვადით.

ნივთმტკიცება - ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი გრანულები, საერთო წონით 54,55 გრამი, რომელიც ინახება საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სპეციალურ სცავში, უნდა განადგურდეს. ს. ბ-ის სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი მსჯავრდებულის გათავისუფლებამდე უნდა შეინახოს საქმესთან ერთად მისი შენახვის ვადით.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 18 თებერვლის დადგენილებით აღმოიფხვრა მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენში არსებული უზუსტობა, კერძოდ:

განაჩენის აღწერილობით ნაწილში, მეორე გვერდის ზემოდან პირველ ხაზზე, სიტყვა „ოდენობით“-ის შემდეგ მიეთითა სიტყვა „არაერთგზის“, ასევე განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, მე-4 გვერდის ბოლოდან მე-10 ხაზზე, სიტყვა „შემოიტანა“-ს შემდეგ მიეთითა სიტყვა „არაერთგზის“. დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

განაჩენით ს. ბ-ს მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

ს. ბ-ვი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2005 წლის 31 იანვრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და განიზრახა, უკანონოდ შეეძინა, შეენახა და საქართველოში უკანონოდ შემოეტანა განსაკ-

თურებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", მისი შემდგომი გასაღებისათვის. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ს. ბ-ემ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, მივით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 26,4 გრამი, რაც 2008 წლის 5 ივლისს უკანონოდ შემოიტანა საქართველოში, საკონტროლო გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" გავლით.

2008 წლის 5 ივლისს გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამართველოს თანამშრომლებმა შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საკონტროლო გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" გადაღებისთანავე, 21.20 საათზე, დააკავეს ს. ბ-ვი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ადგილზევე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მის მიერ უკანონოდ შეძენილი, შენახული და საქართველოში უკანონოდ შემოტანილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 26,4 გრამი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ს. ბ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ი-ვი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ გაუქმდეს განაჩენი ს. ბ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით ს. ბ-ს განესაზღვროს სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი. კასატორის განმარტებით, ს. ბ-ს ნარკოტიკული საშუალება უკანონოდ სახელმწიფო საზღვარზე არ გადმოუტანია, მას არ უღიარებია ნარკოტიკის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შეძენისა და უკანონოდ შემოტანის ფაქტი. რაც შეეხება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტს, ამ ნაწილში მას უნდა შეუმცირდეს სასჯელი, ვინაიდან ს. ბ-ს ნარკოტიკული საშუალება უნდოდა პირადი მოხმარებისათვის და გასაღების მიზანი არ ჰქონია. განაჩენის მითითება იმის შესახებ, რომ, თითქოს, ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობა თავისთავად გულისხმობს მისი გასაღების მიზანსაც, არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან მხოლოდ ოდენობის მიხედვით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს თითქოს ნარკოტიკული საშუალება გამიზნული იყო გასაღებისათვის. ამ გარემოების დასადასტურებლად წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს სხვა რაიმე მტკიცებულება არ მოუპოვებიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს ადვოკატ მ. ი-ის საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ ს. ბ-ს არ ჩაუდენია სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული. საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების - თ. ო-ის, თ. ს-ას ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ ს. ბ-ის მიერ საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტი.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება ამ ნაწილში განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება ადვოკატ მ. ი-ის საკასაციო საჩივრის მოტივს და თვლის, რომ ს. ბ-ის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი, კერძოდ: რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების მიზანზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს არ გამოუკვლევიათ. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში მოცემული უნდა იყოს მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით ჩათვალა მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა და ასეთი ფორმულირება მსჯავრდებულს შეერაცხა სამართლებრივი შეფასების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან ს. ბ-ის მიმართ უნდა ამოირიცხოს მითითება გასაღების მიზნით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვაზე. მას საქარ-

თველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით უნდა მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ს. ბ-ს საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 26 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ს. ბ-ს 5 წლის ვადით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ს. ბ-ს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით არაერთგზის შეძენასა და შენახვაზე.

მსჯავრდებულ ს. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით მიესაჯოს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ს. ბ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 26 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

"ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ს. ბ-ს 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანა

განჩინება

#502-აპ

4 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ი-ვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განაჩენით გ. ი-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ გ. ი-ვს სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 5 ივლისიდან.

გ. ი-ვს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-სამე მუხლის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური სარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახისა და ტარების უფლება.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, გ. ი-ვის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული, ყავისფერი წებოვანი ლენტით დაწებებულ, შავი ფერის პოლიეთილენის პაკეტში მოთავსებული მოყავისფრო ნივთიერება, გრანულების სახით, წონით 27,74 გრამი, რომელიც წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინის" შემცველ გრანულებს და რომელშიც ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" წონა შეადგენს 13,3762 გრამს, დანარჩენი არანარკოტიკული მინარევია, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს. აღნიშნული ნივთმტკიცება ინახება საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში.

განაჩენით გ. ი-ს მსჯავრი დაედო შემდეგისათვის:

გ. ი-მა განიზრახა, უკანონოდ შეეძინა, შეენახა და საქართველოში უკანონოდ შემოეტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი" მისი შემდგომი გასაღებისათვის. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი", წონით 13,3762 გრამი, რომელიც 2008 წლის 5 ივლისს უკანონოდ შემოიტანა საქართველოს საკონტროლო-გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" გავლით.

2008 წლის 5 ივლისს, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, საქართველოს შს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საკონტროლო-გამშვები პუნქტის "წითელი ხიდის" გადმოლაზვისთანავე, 21.20 საათზე, დააკავეს გ. ი-ვი, რომელსაც პირადი ჩხრეკის შედეგად, შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 13,3762 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი".

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განაჩენში შევიდა შემდეგი დაზუსტება, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის პირველი აზრები უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. ი-ვისა და სახელმწიფო ბრალმძღვლის სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები.

მსჯავრდებულ გ. ი-ვი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის არაობიექტური, საქმიდან ამოღებულია და არ ჩანს ის მასალები, რომლებიც ადასტურებს მის უდანაშაულობას.

მსჯავრდებულ გ. ი-ვის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. რ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გ. ი-ვის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველზე, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც უტყუარად ამტკიცებს გ. ი-ის მიერ დანაშაულის ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მოწმეების - თ. ო-ის, თ. ს-ას ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ გ. ი-ის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვისა და საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტი.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ი-ის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა, კერძოდ, რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების მიზანზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული

ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნის არსებობა.

“ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, გ. ი-ს 5 წლით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახისა და ტარების უფლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის “ა”, “დ” ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. ი-ს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით შექმნასა და შენახვაზე.

“ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, გ. ი-ს 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახისა და ტარების უფლება.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#1536-აპ

15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. რ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განაჩენით გ. რ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით 7 წლითა და 8 თვით, ხოლო 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების პრინციპით, გ. რ-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 27 თებერვლიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება მსჯავრდებულ ბ. კ-ევსა და სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლ. დ-შვილს შორის.

ბ. კ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 42-ე, 50-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე ბ. კ-ევს სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოსახდელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დარჩენილი 5 წელი იმავე კოდექსის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 25 იანვრიდან.

გ. რ-შვილსა და ბ. კ-ევს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველოს სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით გ. რ-შვილს მსჯავრი დაედო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვისათვის; აგრეთვე - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 25 იანვარს წარსულში ორჯერ სასამართლევი გ. რ-შვილი, მეტსახელად „ვ-ოი“, დანაშაულებრივად დაუკავშირდა ბ. კ-ევს და შეუთანხმდა, რომ იმავე წლის 25 იანვარს მისგან უკანონოდ შეიძენდა 4, ე.წ. „ჩეკად“ დაფასობულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, რაზედაც ბ. კ-ევი დასთანხმდა. ბ. კ-ევმა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა 4, ე.წ. „ჩეკად“ დაფასობული, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საიდანაც 1 „ჩეკი“ იმავე დღეს გადასცა გ. რ-შვილს. ვინაიდან ამ უკანასკნელს ჯერ არ ჰქონდა დანარჩენი 3 „ჩეკი“ ნარკოტიკული საშუალების შესაძენი თანხა, ბ. კ-ევს შეუთანხმდა, რომ საგარეჯოში, „სახალხო ბანკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გადასცემდა დარჩენილი ნარკოტიკული საშუალების საფასურს.

2008 წლის 25 იანვარს ქ. საგარეჯოში, საგარეჯოს შს რაიგანყოფილების მუშაკებმა დააკავეს ბ. კ-ევი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღეს ლურჯი ფერის ცელოფანში გახვეული, სამ ე.წ. „ჩეკად“ დაფასობული ნივთიერება - ფხვნილისა და გრანულების სახით, საერთო წონით - 1,138 გრამი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს კულტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ ნარევს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ წონა შეადგენს - 0,489 გრამს. აღნიშნულ ნივთიერებას ბ. კ-ევი უკანონოდ ინახავდა შემდგომში გ. რ-შვილზე რეალიზაციის მიზნით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. რ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. მ-შვილმა. აპელანტმა საჩივრით ითხოვა გ. რ-შვილის გამართლება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში - პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენით საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. რ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. მ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივრით ითხოვა გ. რ-შვილის გამართლება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში - პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ გ. რ-შვილის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე - დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულ ბ. კ-ევის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების - გ. გ-შვილის, ვ. ა-შვილის ჩვენებებით, ექვმიტანილ ბ. კ-ევის დაკავების, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებით, სატელეფონო საუბრების ჩანაწერებით, ქიმიური ექსპერტიზის #1/სქ, საექსპერტო-კრიმალისტიკური მთავარი სამმართველოს #4134 დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით გ. რ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. რ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. რ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 8 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. რ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. რ-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 8 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#1431-აპ

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. პ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 ივნისის განაჩენით ლ. მ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის 27 მარტის, 27 სექტემბრისა და 2008 წლის 22 აპრილის ეპიზოდები) იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული და ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ლ. მ-იანი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის დაჯარიმდა 500 ლარით.

მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას, არ გააკეთა სათანადო დასკვნები და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ: ლ. მ-იანმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2007 წლის 27 მარტს ის, იმყოფებოდა რა თბილისში, იწვევდა ექვს, რომ, სავარაუდოდ, იყო ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ადმინისტრაციული წესით და შემოწმების მიზნით გადაიყვანეს საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიის სამსახურში, სადაც გამოკვლევის #2251 დასკვნით, ლ. მ-იანს ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველობა.

ლ. მ-იანი 2007 წლის 11 ივლისს გასამართლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნის პერიოდში ლ. მ-იანმა კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ: 2007 წლის 27 სექტემბერს იგი დააკავეს ადმინისტრაციული წესით თბილისის გლდანინამალადევის შს სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ექსპერტის #3216037 დასკვნით, მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების - „ბუპრენორფინისა“ და „მარიხუანას“ მოხმარების ფაქტი.

2008 წლის 22 აპრილს ლ. მ-იანი ადმინისტრაციული წესით დააკავეს თბილისის გლდანინამალადევის შს სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა. ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად, ექსპერტის #3412172 დასკვნით, მას დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის ლ. მ-იანს დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 22 აპრილიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2007 წლის 27 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით. ლ. მ-იანს 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შემენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა შ. ი-შვილმა და ითხოვა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ლ. მ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. პ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა სასჯელის ნაწილში და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ლ. მ-იანმა გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული და მისცა აღიარებითი ჩვენება; იგი ნარკოტიკული საშუალების აქტიური მომხმარებელია და დაავადებულია ნარკომანიით; ამჟამად ის საკმაოდ წარმატებულად მკურნალობს და ხასიათდება დადებითად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს ლ. მ-იანისათვის სასჯელის შემსუბუქებას 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთამდე.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის #841 განკარგულებით ლ. მ-იანი გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლოში გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ ლ. მ-იანმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ამ უკანასკნელმა სასამართლოშიც აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, იგი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა შეიცვალოს მხოლოდ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის დანიშნული სასჯელი - 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ლ. მ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ლ. მ-იანს გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის დანიშნული სასჯელი - 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და საბოლოოდ მიესაჯოს 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#1509-აპ

20 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. გ-იანისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-უას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ივნისის განაჩენით:

საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექცი-აში კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებსა და სპეციალური ოპერატი-ული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში გამო-

მიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ ლ. ქ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა პროკურორ ლ. ქ-შვილსა და განსასჯელ ა. ბ-რს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ა. ბ-რი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ ა. ბ-რს სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 6 თებერვლიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ა. ბ-რს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

თ. გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - ჯარიმა 1000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, საბოლოოდ თ. გ-იანს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 6 თებერვლიდან.

მსჯავრდებულ თ. გ-იანს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის გამსაღებელს, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

ა. ბ-რის პირადი ჩხრეკის დროს ამოღებული 0.323 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" შემცველი ფხვნილი, მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული 0,0035 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენოფრინის" შემცველი სუბოტექსის აბის ნატეხი, ფაქტიური საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული 0.0088 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" შემცველი ფხვნილი, თ. გ-იანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 0,394 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" შემცველი ფხვნილი უნდა განადგურდეს.

ა. ბ-რის მობილური ტელეფონიდან 2008 წლის 3 თებერვლიდან 2008 წლის 6 თებერვლის ჩათვლით განხორციელებული სატელეფონო საუბრის შედეგად მიღებული კრებსები ინახება საქმის შენახვის ვადით.

ა. ბ-რისაგან ამოღებული ავტომანქანა "მერსედესი", ა. ბ-რის ბინის ჩხრეკისას ამოღებული 2000 აშშ დოლარი, თ. გ-იანის ბინის ჩხრეკის დროს ამოღებული 1460 ლარი და 2250 აშშ დოლარი, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, საფინანსო სააგენტოს მეშვეობით უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

ა. ბ-რის პირადი ჩხრეკისას ამოღებული "ნოკიას" ფირმის მობილური ტელეფონი, როგორც დანაშაულის ჩადენის საგანი, საფინანსო სააგენტოს მეშვეობით უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

ა. ბ-რის პირადი ჩხრეკისას ამოღებული სიმბარათი უნდა დაუბრუნდეს მის ოჯახის წევრებს.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 11 მარტის ბრძანებით ა. ბ-რის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაზე მდებარე: თბილისში დადებული ყადაღა.

განაჩენით მსჯავრდებულ თ. გ-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისში დროებით მცხოვრებ თ. გ-იანს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2007 წლის 16 ნოემბრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, მან ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ უკანონოდ, მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

2008 წლის 6 თებერვალს თ. გ-იანი ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაიყვანეს შსს საექსპერტო - კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, რომლის გამოკვლევის დასკვნის თანახმად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

თ. გ-იანმა დაუდგინებლ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით 0,7258 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" შემცველი ფხვნილი. 2008 წლის 5 თებერვალს თ. გ-იანმა თავის ნაცნობ ა. ბ-რზე უკანონოდ გაასაღა დიდი ოდენობით 0,3318 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" შემცველი ფხვნილი, რომელიც 2008 წლის 6 თებერვალს ამოიღეს ა. ბ-რის პირადი და ბინის ჩხრეკის დროს.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 2008 წლის 26 თებერვალს, 18 საათსა და 20 წუთზე, საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, მის დროებით საცხოვრებელ ბინაში, დააკავეს თ. გ-იანი, რომლისგანაც ბინის ჩხრეკისას ამოიღეს დიდი ოდენობით - 0,394 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" შემცველი ფხვნილი. თ. გ-იანი გადაიყვანეს ნარკოლოგიურ დისპანსერში, სადაც შემოწმებისას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ თ. გ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ჭ-უა საკასაციო საჩივრით ითხოვს მსჯავრდებულ თ. გ-იანის გამართლებას ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ნაწილში და მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას უკანონოდ ამოღებული 2250 აშშ დოლარისა და 1460 ლარის დაბრუნებას იმ მოტივით, რომ არც წინასწარ გამოძიებაში და არც სასამართლო პროცესებზე არ ყოფილა წარმოდგენილი თ. გ-იანის მიერ ნარკოტიკული საშუალების გასაღების დამადასტურებელი არც ერთი ობიექტური და დამაჯერებელი მტკიცებულება. საქმეში ასევე არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომ თ. გ-იანის სახლიდან ამოღებული თანხა დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა ცალმხრივად - საფუძვლიანად არ დაიკითხნენ მსჯავრდებულები, მოწმეები, არ ჩატარდა დამატებითი ქიმიური ექსპერტიზა. საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს ეთანხმება მსჯავრდებული თ. გ-იანი.

მსჯავრდებული თ. გ-იანი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული ქმედება; სასამართლოს არ ჰქონდა ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები; სხდომაში მონაწილე პროკურორმა თვითონ განაცხადა, რომ მას არ გააჩნდა არავითარი მტკიცებულება, გარდა ა. ბ-რის მამხილებელი ჩვენებისა, რაც არასწორია, რადგან ა. ბ-რის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აშკარად ჩანს, რომ ის საერთოდ არ ეხება მას. კასატორი თ. გ-იანი აღნიშნავს, რომ ის და ა. ბ-რი არიან თანაკლასელები და ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ, არიან ნათელმირონები. ა. ბ-რმა კარგად იცის, რომ მას ეძახიან თ-ს და არა - თ-ს, იცის მისი წლოვანება და მისამართი; ამდენად, ა. ბ-რს მხედველობაში ის რომ ჰყოლოდა, ამას ჩვენებაში მიუთითებდა. კასატორის მოსაზრებით, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ერთ-ერთი პირი არის პირადად მისი დაჭერით დაინტერესებული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ თ. გ-იანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ თ. გ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-უას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით: მსჯავრდებულ თ. გ-იანის ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების: ლ. გ-ძისა და კ. ფ-ვას ჩვენებებით, ექვმიტანილის სახით თ. გ-იანის დაკავების ოქმით, მსჯავრდებულ თ. გ-იანის ბინის ჩხრეკის ოქმით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ 2008 წლის 6 და 7 თებერვალს გაცემული ექსპერტიზის #341390 და #93/სქ დასკვნებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 ნოემბრის #19404-07 დადგენილებითა და ასევე საქმეში არსებული სხვა მასალებით უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულ თ. გ-იანის მიერ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტი.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ თ. გ-იანის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ ა. ბ-რის წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას მიცემულ არათანმიმდევრულ ჩვენებებს, კერძოდ, მსჯავრდებულის ა. ბ-რმა წინასწარი გამოძიების დროს, ექვმიტანილის სახით დაკითხვისას, განაცხადა, რომ 2008 წლის 5 თებერვალს თ-ისაგან აიღო ე.წ სამ. "ბაზად" დაფასოებული ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი", რაშიც გადაუხადა 450 ლარი. აღნიშნული ჩვენება მან ნაწილობრივ დაადასტურა სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას, თუმცა, აღნიშნა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა, აიღო სხვისგან და არა - თ. გ-იანისაგან. ამავე სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა ა. ბ-რმა განმარტა, რომ იგი "უღებდა" გ-იანს ნარკოტიკს, როცა საშუალება იყო და ასევე გ-იანიც "უღებდა". დაკავების წინა დღეს მას გ-იანმა მისცა ნარკოტიკი. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიათ, ასევე არ აღმოფხვრილა მსჯავრდებულ ა. ბ-რის ჩვენებებს შორის არსებული წინააღმდეგობები.

საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ექვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი ყოველგვარი ექვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ექვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ ა. ბ-რის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ თ. გ-იანის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მსჯავრდებულ ა. ბ-რის ჩვენება, როდესაც საქმეში ბრალდების ამ ეპიზოდთან მიმართებით არ არსებობს სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მსჯავრდებულის ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ პირი მსჯავრდების ამ ეპიზოდში დამნაშავედ იქნეს ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. გ-იანს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ნარკოტიკული საშუალებების გასაღება და, შესაბამისად, მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილ, მსჯავრდებულ თ. გ-იანის ბინის ჩხრეკისას ამოღებულ ფულად თანხაზე - 1460 ლარსა და 2250 აშშ დოლარზე, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებაზე, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: "ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ანდა იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ანდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას".

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მასალებითა და პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენებით არ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულ თ. გ-იანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 1460 ლარი და 2250 აშშ დოლარი არის დანაშაულებრივი გზით მოპოვებული, საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, ამიტომ მსჯავრდებულ თ. გ-იანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა - 1460 ლარი და 2250 აშშ დოლარი უნდა დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი) მსჯავრდებულ თ. გ-იანს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარი - უნდა გაუნახევრდეს. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტითა და მესამე მუხლის მეორე პუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ თ. გ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ თ. გ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჭ-უას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ თ. გ-იანს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გასალეზაზე.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი) მსჯავრდებულ თ. გ-იანს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ თ. გ-იანს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

თ. გ-იანს, როგორც ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებელს, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლის ვადით - საექიმო, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

მსჯავრდებულ თ. გ-იანს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილი, თ. გ-იანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხის - 1460 ლარისა და 2250 აშშ დოლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე.

მსჯავრდებულ თ. გ-იანის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი თანხა - 1460 ლარი და 2250 აშშ დოლარი დაუბრუნდეს მისი ოჯახის წევრებს.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#27-აპ-09

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით ვ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, მას სასჯე-

ლად განესაზღვრა 14 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების თანახმად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 7000 ლარი.

ვ. ს-ძეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ოგი სასჯელს იხდის 2007 წლის 25 სექტემბრიდან.

განაჩენით ვ. ს-ძეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვაში გასაღების მიზნით; აგრეთვე, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. ს-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება "ჰეროინი", წონით 5,41 გრამი, საიდანაც 0,41 გრამი 2007 წლის 25 სექტემბერს, მისი ეჭვმიტანილის სახით დაკავებისას ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, მარცხენა ფეხის წინდიდან ამოიღეს პოლიციის მუშაკებმა, ხოლო 4,73 გრამი კი 2007 წლის 26 სექტემბერს მის საცხოვრებელ სახლში, მდებარე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ...-ში ჩატარებული ჩხრეკისას, რაც მას დაფასობული და გამზადებული ჰქონდა სარეალიზაციოდ 11 ცალ, ე.წ. "ჩეკად", თითოეული 0,4 გრამიდან 0,45 გრამამდე წონით.

ვ. ს-ძეს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის 2007 წლის 20 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკისრა ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, მან უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც მას დაუდგინდა 2007 წლის 25 სექტემბერს ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად.

ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ს-ძემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვა: გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტის გადაკვალიფიცირება იმავე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, იმ მოტივით, რომ მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული 4,73 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" ადგილსამყოფელი მან ნებაყოფლობით მიუთითა პოლიციის მუშაკებს, რის გამოც უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან; საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით მინიმალური სასჯელის განსაზღვრა; გამართლება ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ნაწილში, რადგან საქმეში არ მოიპოვება ნარკოტიკული საშუალების გასაღების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ს-ძემ, რომელიც საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტის გადაკვალიფიცირებას იმავე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე, იმ მოტივით, რომ მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული 4,73 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინის" ადგილსამყოფელზე მან ნებაყოფლობით მიუთითა პოლიციის მუშაკებს, რის გამოც უნდა გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან; საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით მინიმალური სასჯელის განსაზღვრას; გამართლებას ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ნაწილში, რადგან საქმეში არ მოიპოვება ნარკოტიკული საშუალების გასაღების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ვ. ს-ძის ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების - ე. ს-ძის, მ. თ-ძის ჩვენებებით, ეჭვმიტანილის სახით ვ. ს-ძის დაკავების ოქმით, ჩხრეკის ოქმებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტი-

ზის #804 და ნარკოლოგიური გამოკვლევის #3425244 დასკვნებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 იანვრის დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ვ. ს-ძის მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით ჩადენილი ქმედებები დადასტურებულია.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ვ. ს-ძის ქმედებაში არ დასტურდება ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი, კერძოდ: განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა ძირითადად მხოლოდ ხ. ბ-შვილის განსასჯელის სახით დაკითხვის სხდომის ოქმს, რომელიც სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით არც კი ყოფილა გამოკვლეული. ხოლო ის ფაქტი, რომ ვ. ს-ძის პირადი ჩხრეკისა და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები დაფასოებული იყო შესაბამისად - 2 და 11, ე.წ. "ჩეკად", თავისთავად არ გულისხმობს გასაღების მიზნის არსებობას. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც მიანიშნებს გასაღების ფაქტზე, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია და არც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებს გამოუკვლევიან. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ექვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, ყოველგვარი ექვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ექვიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. ს-ძეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლის I პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებულ ვ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 9 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 14 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა - 7000 ლარი - უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტებით, მე-3 მუხლის I პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ვ. ს-ძეს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე.

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლის I პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებულ ვ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 9 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ვ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 14 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, ასევე დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა - 7000 ლარი - დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#29-აპ

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ტ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის განაჩენით ი. ტ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა - 4000 ლარი, 273-ე მუხლით (2007 წლის ივლისის ეპიზოდი) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და 273-ე მუხლით (2007 წლის სექტემბრის ეპიზოდი) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ი. ტ-ძეს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა - 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მსჯავრდებულ ი. ტ-ძეს დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლებები. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 25 სექტემბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, 2,92 გრამი, რომელიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს, ხოლო ი. ტ-ძის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონის სიმ-ბარათი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ი. ტ-ძეს.

განაჩენით ი. ტ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ი. ტ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2,92 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელიც დააფასოვა უჯრედებიანი ქაღალდის ნაკეცებში 6 პაკეტად და უკანონოდ ინახავდა შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში. 2007 წლის 25 სექტემბერს, 18.10 საათზე იგი დააკავეს, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, მისი შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს უჯრედებიანი ქაღალდის ნაკეცში 6 პაკეტად დაფასოებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 2,92 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

მანვე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ა. ჯ-ზე 50 აშშ დოლარად უკანონოდ გაასალა ე.წ. ერთ ჩეკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რაც ა. ჯ-ს აღმოაჩნდა 2007 წლის 25 სექტემბერს ნარკოლოგიური შემოწმების დროს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 მაისის დადგენილებით ი. ტ-ძეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, 2007 წლის 28 ივლისს მან ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ოპიოიდების ჯგუფის ნარ-

კოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა აჭარის ა/რ-ის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში შემოწმების შედეგად.

მანვე ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგ ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ოპოიდების ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება, რაც 2007 წლის 26 სექტემბერს დაუდგინდა აჭარის ა/რ-ის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში შემოწმების შედეგად.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ი. ტ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ მოწმეების - რ. ც-ძისა და ა. ჯ-ნის ჩვენებები არ შეესაბამება სიმართლეს; მას ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებაში არ მიუძღვის არავითარი ბრალი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ი. ტ-ძის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ი. ტ-ძის ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებით; მოწმეების - რ. დ-ძის, ვ. ხ-ძის, ა. ჯ-ნის, რ. ც-ძის ჩვენებებით; ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით; საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს აჭარის ა/რ-ის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2007 წლის 26 სექტემბრის ქიმიური ექსპერტიზის # 809 დასკვნით; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 მაისის დადგენილებით; 2007 წლის 28 ივლისის ნარკოლოგიური გამოკვლევის #4253 დასკვნით; 2007 წლის 26 სექტემბრის ნარკოლოგიური გამოკვლევის #3425249 დასკვნით; ჩოხატაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 21 ივნისის განაჩენით და საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულ ი. ტ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა სრულად არის დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ი. ტ-ძეს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ი. ტ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის ივლისის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი - ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ი. ტ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი - ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს.

ი. ტ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლითა (2007 წლის ივლისის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით (2007 წლის სექტემბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 15 წლით და დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ი. ტ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის

ივლისის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი - ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახვე-
რდეს.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი
პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ი. ტ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2007 წლის
სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი - ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახვე-
რდეს.

მსჯავრდებულ ი. ტ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით,
273-ე მუხლით (2007 წლის ივლისის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით (2007 წლის სექტემბრის
ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატე-
ბითი სასჯელი - ჯარიმა - 4000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#31-აპ

21 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენ-
ლობით:**

მ. ომხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. შ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სა-
პელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენ-
ზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 სექტემბრის განაჩენით ვ. შ-ძე ცნობილ იქნა
დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა,
260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ვ. შ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა 10 წლით
თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილისა და 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძ-
ველზე გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის განაჩენით ვ. შ-ძის მი-
მართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ბათუმის საქა-
ლაქო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -
1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ვ. შ-ძეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზ-
ღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 27 თებერ-
ვლიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-
ლის მეორე ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულ ვ. შ-ძეს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრან-
სპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სა-
ხელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, სა-
ჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შე-
ძენის, შენახვის და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი 0,160 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომე-
ლიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოში, საქმეზე სა-
ბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენით ვ. შ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ვ. შ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დი-
დი ოდენობით - 0,160 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც ასევე უკანონოდ
ინახავდა თავისი შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში. ზემოაღნიშნული ნარკოტიკული საშუალება,
2008 წლის 27 თებერვალს მისი პირადი ჩხრევის შედეგად ამოიღეს პოლიციის თანამშრომლებმა.

მანვე, იყო რა მსჯავრდებული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაევალი პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, პირობითი ვადის გასვლამდე, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2008 წლის 27 თებერვალს ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმების შედეგად.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ვ. შ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ის არ ეთანხმება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენს, რადგან არის უდანაშაულო; ნარკოტიკული ნივთიერება არ ჰქონია; აღნიშნული სოდის თანამშრომლებმა ძალით ჩაუდეს შარვლის უკანა, მარცხენა ჯიბეში; არის ავადმყოფი და ნარკოტიკული ნივთიერების მოძიებელი; აღიარებს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ვ. შ-ძის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, რადგან საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ვ. შ-ძის ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებით; მოწმეების - ზ. ზ-ძის, რ. კ-ძის ჩვენებებით; საქმეში არსებული 2008 წლის 28 თებერვლის მოსამართლის ბრძანებით; 2008 წლის 27 თებერვლის #148 ექსპერტიზის დასკვნით; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 მაისის განაჩენით; 2008 წლის 27 თებერვლის #342633 გამოკვლევის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულ ვ. შ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა სრულად არის დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, ვ. შ-ძეს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ვ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს.

ვ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც უნდა დაემატოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ვ. შ-ძეს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 6 თვის ვადით

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით, "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ვ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I და II ნაწილების თანახმად, მსჯავრდებულ ვ. შ-მეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 6 თვის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#25-აპ-09

17 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ჩ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჩ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 6 ივნისის განაჩენით:

დაკმაყოფილდა პროკურორ გ. ჯ-შვილის შუამდგომლობა. დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული პროკურორსა და მსჯავრდებულ გ. უ-შვილს შორის.

გ. უ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ გ. უ-შვილს სასჯელის სახედ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე პირობით არ იქნა გამოყენებული და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 4 წელი.

გ. უ-შვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, გ. უ-შვილს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული პროკურორსა და მსჯავრდებულ მ. თ-შვილს შორის.

მ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან.

მ. თ-შვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა - 10 000 ლარი.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მ. თ-შვილს ხუთი წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები.

ვ. ჩ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 26 სექტემბრის ეპიზოდი) - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 4 ოქტომბრის ეპიზოდი) - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ კ. ჩ-ლს სასჯელის სახედ განე-საზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 4 ოქტომ-ბრიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-ლის თანახმად, კ. ჩ-ლს ხუთი წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით – საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები.

გ. უ-შვილის პირადი ჩხრევისას ამოღებული 0,00338 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპ-რენორფინის“ შემცველი აბის ნატეხი; მ. თ-შვილის პირადი ჩხრევისას ამოღებული 0,0159 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბი და აბის ნატეხები; კ. ჩ-ლის პირადი ჩხრევისას ამოღებული 0.02796 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 3 აბი და აბის ნატეხი; საცხოვრებელი ბინის ჩხრევისას ამოღებული 0.12518 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 9 აბი, 8 აბის ნატეხი და ფხვნილი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღე-ბის შემდეგ უნდა განადგურდეს.

კ. ჩ-ლის ბინის ჩხრევისას ამოღებული ფულადი თანხა – 948 ლარი და 6220 ევრო, რომე-ლიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყ-ვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კ. ჩ-ლს.

განაჩენით მსჯავრდებულების – გ. უ-შვილის, მ. თ-შვილისა და კ. ჩ-ლის დანაშაული გამო-იხატა შემდეგში:

გ. უ-შვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამარ-თლის 2007 წლის 1 მაისის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გა-რეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში გ. უ-შვილმა ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

2007 წლის 4 ოქტომბერს გ. უ-შვილი გადაიყვანეს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

გ. უ-შვილმა 2007 წლის 1 ოქტომბერს თბილისში მდებარე, ე.წ. ა/მანქანების ბაზრობის ტე-რიტორიაზე თავის ნაცნობ მ. თ-შვილისაგან 130 ლარად უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,00338 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ აბის ნატე-ხი. გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად 2007 წლის 3 ოქტომბერს, 19.55 საათზე, საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, დააკა-ვეს გ. უ-შვილი. გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული მისი პირადი ჩხრევისას ამოიღეს 0,00338 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხი.

მ. თ-შვილმა 2007 წლის ოქტომბერში თავისი ნაცნობის – კ. ჩ-ლისაგან 500 ლარად, შემ-დგომში გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,0198 გრამი ნარკოტიკული საშუა-ლება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ ერთი აბი და აბის სამი ნატეხი, რომლის ნაწილი – 0,00338 გრამი – 2007 წლის 1 ოქტომბერს თბილისში მდებარე, ე.წ. ავტო-მანქანების ბაზრობის ტერიტორიაზე, 130 ლარად უკანონოდ გაასაღა თავის ნაცნობ გ. უ-შვილზე, რომელიც ამოიღეს ამ უკანასკნელის დაკავებისას. საქართველოს შს სპეციალური ოპერატიული დე-პარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, მეტროს სადგურ „ღრმადელის“ მიმდებარე ტერიტორია-ზე, დააკავეს მ. თ-შვილი, რომელსაც ადგილზე კანონით დადგენილი წესით ჩაუტარდა პირადი ჩხრევა, რა დროსაც მისგან ამოიღეს 0,0159 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბუტექსის“ ერთი აბი და აბის ორი ნატეხი.

კ. ჩ-ლს გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის 2007 წლის 29 მაისის დადგენილე-ბით, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ად-მინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი. მიუხედავად ამისა, ადმინის-ტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. კერძოდ, 2007 წლის 26 სექტემბერს კ. ჩ-ლი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გადაიყვა-ნეს შსს ოპერატიულ-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. ამის შემდეგ, კ. ჩ-ლმა ადმინისტრა-ციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ, 2007 წლის 5 ოქტომბერს კ. ჩ-ლი სპე-

ციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაიყვანეს შსს საექსპერტო-კრიმინალის-ტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

კ. ჩ-ლმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისა-გან, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენო-ბით - 0,17242 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი პრეპარატ "სუბუ-ტექსის" აბები და აბის ნატეხები.

2007 წლის ოქტომბერში კ. ჩ-ელმა თავის ნაცნობ მ. თ-შვილზე 500 ლარად უკანონოდ გაასა-ლა დიდი ოდენობით - 0,01928 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი პრეპარატ "სუბუტექსის" ერთი აბი და სამი აბის ნატეხი, საიდანაც მ. თ-შვილმა თავის მხრივ, 0,00338 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი პრეპარატ "სუბუტექსის" ერთი აბის ნატეხი, 130 ლარად უკანონოდ გაასაღა გ. უ-შვილზე. აღნიშნული ნარკოტიკი, ამოი-დეს ამ უკანასკნელის დაკავებისას.

გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა თავის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე თბილისში, დააკავეს კ. ჩ-ლი, რომელსაც ადგილზე კანონით დადგენილი წესით ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოიღეს დიდი ოდენობით - 0,02796 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი, პრეპარატ "სუბუტექსის" სამი აბი და აბის ერთი ნატეხი, რის შემდეგ გაიჩხრიკა მისი საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,12518 გრამი ნარ-კოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი პრეპარატ "სუბუტექსის" აბები და აბის ნატეხე-ბი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალა-ტის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

კ. ჩ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნა-წილის „ა“ ქვეპუნქტით 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 26 სექ-ტემბრის ეპიზოდი) - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I და III პუნქტების თანახმად, გაუნახევრდა და მოსახდელად განესაზღვრა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2007 წლის 4 ოქ-ტომბრის ეპიზოდი) - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I და III პუნქტების თანახმად, გაუნახევრდა და მოსახდელად განესაზღვრა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ კ. ჩ-ლს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწე-ყო 2007 წლის 4 ოქტომბრიდან.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-ლის თანახმად, კ. ჩ-ლს ხუთი წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები.

გ. უ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწი-ლით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ გ. უ-შვილს სასჯელის სახედ გა-ნესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების სა-ფუძველზე პირობით არ იქნა გამოყენებული და გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 4 წელი.

გ. უ-შვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბა-მისად, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-ლის თანახმად, გ. უ-შვილს 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, სა-ექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანო-ებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები.

მ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის სახედ განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 4 ოქტომბრიდან.

მ. თ-შვილს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა - 10 000 ლარი.

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მ. თ-შვილს ხუთი წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლის ვადით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლებები.

გ. უ-შვილის პირადი ჩხრეკისას ამოღებული 0,00338 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხი; მ. თ-შვილის პირადი ჩხრეკისას ამოღებული 0,0159 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბი და აბის ნატეხები; კ. ჩ-ლის პირადი ჩხრეკისას ამოღებული 0.02796 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 3 აბი და აბის ნატეხი; საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული 0.12518 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 9 აბი, 8 აბის ნატეხი და ფხვნილი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

კ. ჩ-ლის ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 948 ლარი და 6220 ევრო, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კ. ჩ-ლს.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჩ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს მოეხსნას ბრალდება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ გასაღების ნაწილში და სასჯელის ზომად შეეფარდოს სანქციის მინიმუმში იმ მოტივით, რომ კ. ჩ-ლი წარსულში ნასამართლევი არ არის, ხასიათდება დადებითად, დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შექმნა-შენახვას და უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებას გულწრფელად აღიარებს და ინანიებს; სასამართლო პროცესებზე ბრალდების მხარემ, გარდა მ. თ-შვილის არათანმიმდევრული, არადამაჯერებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებისა, სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კ. ჩ-ლის ბრალეულობას ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ რეალიზაციის ნაწილში, ვერ წარმოადგინა; დაცვის მხარის შუამდგომლობა, მოწმის სახით დაკითხულიყო მ. თ-შვილი, რომელმაც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება მისცა წინასწარ და სასამართლო გამოძიებას პალატამ არ დააკმაყოფილა; საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიება კ. ჩ-ლის ბრალდების საქმეზე ჩატარებულია არასრულად და ცალმხრივად; განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს; არ არის დადგენილი დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ კ. ჩ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჩ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ კ. ჩ-ლის ჩვენებებით; მოწმეების - გ. ქ-იას, მ. ფ-იას, კ. ფ-შვილის, მ. ქ-შვილისა და მ. ლ-მის ჩვენებებით; კ. ჩ-ლის პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით; საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2007 წლის 5 ოქტომბრის ექსპერტიზის #1292/სქ დასკვნით; დაკავების ოქმით, გამოკვლევის #53418409 და #3418062 დასკვნებით, ამოღებული ნივთმტკიცებით, დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და სხვა მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულმა კ. ჩ-ლმა ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ (ორი ეპიზოდი) და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის მითითებულ ნაწილში გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ კ. ჩ-ლის ქმედებაში არ დასტურდება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. განაჩენი ამ ნაწილში ეყრდნობა მხოლოდ მსჯავრდებულ მ. თ-შვილის წინასწარ და სასამართლო გამოძიებისას მიცემულ არათან-

მიმდევრულ ჩვენებებს, კერძოდ: მსჯავრდებულმა მ. თ-შვილმა წინასწარ გამოძიებაში ექვმიტანილის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ 2007 წლის 4 ოქტომბერს, დაახლოებით 15.30 საათზე, სამთო ქიმიის შენობის წინ შეხვდა კ. და მისგან 500 ლარად შეიძინა ორი აბი "სუბუტექსი". როცა სახლში ბრუნდებოდა "ღრმადელის" მეტროსთან, დააკავა პოლიციამ. სასამართლო სხდომაზე კი განაცხადა, რომ დააკავეს "სანზონაში", მეტროს წინ, ჩაუტარდა ჩხრეკა და ამოუღეს ორი ცალი აბის ნატეხი და ერთი მთლიანი აბი. სამთო ქიმიასთან დაურეკა მეგობარს და იქ შეიძინა. ფული მისცა ჩხენკელს.

საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მესამე ნაწილისა და 508-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლის V ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ექვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ. კანონის აღნიშნულ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არ დაასაბუთა, მსჯავრდებულ მ. თ-შვილის ჩვენებების გარდა, რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია დადასტურებულად მსჯავრდებულ კ. ჩ-ლის ქმედებაში დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხოლოდ მსჯავრდებულ მ. თ-შვილის ჩვენება, როდესაც საქმეში ბრალდების ამ ეპიზოდებთან მიმართებით არ არსებობს სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რაც მსჯავრდებულის აღნიშნული ჩვენების უტყუარობის შემოწმების საშუალებას მოგვცემს, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისათვის, რომ მსჯავრდებული კ. ჩ-ლი მსჯავრდების ამ ეპიზოდებში დამნაშავედ იქნეს ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე და მას მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობით იმ ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა - შენახვაში, რაც მას ფაქტობრივად აღმოაჩნდა პირადი და საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ, ბრალდების მოცულობის შემცირების შესაბამისად, მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს უნდა შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით (2007 წლის 26 სექტემბრის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით (2007 წლის 4 ოქტომბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

კ. ჩ-ლს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, 5 წლის ვადით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 10 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა უნდა დაეწყოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ჩ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებაზე.

მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით (2007 წლის 26 სექტემბრის ეპიზოდი) და 273-ე მუხლით (2007 წლის 4 ოქტომბრის ეპიზოდი) საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც დაეწყოს 2007 წლის 4 ოქტომბრიდან.

კ. ჩ-ლს, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 10 წლით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური სარჩევნო და იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ კ. ჩ-ლს აღნიშნული შეზღუდვების მოქმედების ვადის ათვლა დაეწყოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისთანავე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#172-აპ-09

25 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. გ-ძის, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - მ. ყ-შვილისა და მსჯავრდებულ დ. შ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - გ. ნ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ივლისის განაჩენით ა. გ-აძე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

ა. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 27 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის განაჩენით შეფარდებულ პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და ა. გ-ძეს, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 28 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. შ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე და 61-ე მუხლების II ნაწილების საფუძველზე, შეკრების წესით, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 2.000 ლარი.

ისინი სასჯელს იხდიან 2008 წლის 13 აპრილიდან.

ა. გ-ძესა და დ. შ-ძეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, საადვოკატო, საექიმო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებუ-

ლებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის III ნაწილის შესაბამისად, ა. გ-მეს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, პირადი ჩხრეკისას ამოღებული თანხა - 100 აშშ დოლარი, ასევე მისი და დ. შ-მის ფაქტობრივი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა, სულ - 2800 ლარი.

განაჩენით ა. გ-მეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვაში, ჩადენილი დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; მასვე - ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონოდ შექმნა, შენახვა, გადაზიდვაში; მასვე - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

დ. შ-მეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა-შენახვაში, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; მასვე - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოხატა შემდეგში:

დ. შ-მეს 2007 წლის 2 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარი. ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, 2008 წლის 13 აპრილს, დ. შ-მე შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გადაიყვანეს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ლაბორატორიული შემოწმების შედეგად კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

დ. შ-მემ, ა. გ-მესთან წინასწარი შეთანხმებით, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან, უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0.2568 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 93 ცალი აბის ნატეხი, საიდანაც ნაწილს - 0.0027 გრამის შემცველ აბის ნატეხს დ. შ-მემ ინახავდა პირადად, ხოლო დანარჩენ 0.2541 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ 92 ცალ აბის ნატეხს ისინი ინახავდნენ თავიანთ საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც ნაწილი, კერძოდ, 25 ცალი აბის ნატეხი, იდო დ. შ-მის პიჯაკში, რომელიც ეკიდა ბინაში შესასვლელ საკიდზე.

2008 წლის 13 აპრილს, საქართველოს შსს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს დ. შ-მე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს 0.0027 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხი, ხოლო მათი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0.2541 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი 92 ცალი აბის ნატეხი.

ა. გ-მემ ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რის გამოც ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. 2007 წლის 17 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ა. გ-მე ცნო დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით და დამატებით სასჯელად შეეფარდა ჯარიმა - 2000 ლარი.

ა. გ-მემ პირობითი სასჯელის მოხდის პერიოდში კვლავ ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ: 2008 წლის 14 აპრილს ა. გ-მე გადაიყვანეს საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების მიზნით, სადაც მას #3411970 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

2008 წლის 13 აპრილს, საქართველოს შსს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს ა. გ-მე, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0.7762 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი აბები, აბის ნატეხები და ფხვნილი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - დ. შ-მისა და ა. გ-მის ადვოკატებმა.

აპელანტი, მსჯავრდებულ დ. შ-მის ადვოკატი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ცვლილების შეტანას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის განაჩენში კვალიფიკაციის შეცვლის კუთხით, კერძოდ: მსჯავრდებულ დ. შ-მის ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილითა და 273-ე მუხლით.

აპელანტი, მსჯავრდებულ ა. გ-ძის ადვოკატი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ცვლილების შეტანას გასაჩივრებულ განაჩენში, კერძოდ, ა. გ-ძის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ივლისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ა. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის განაჩენით შეფარდებულ პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და ა. გ-ძეს, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე და 61-ე მუხლების II ნაწილების საფუძველზე, შეკრების წესით, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 2.000 ლარი.

ა. გ-ძესა და დ. შ-ძეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, 15 წლით ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, საადვოკატო, საექიმო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. გ-ძემ, მისმა ადვოკატმა მ. ყ-შვილმა და მსჯავრდებულ დ. შ-ძის ადვოკატმა გ. ნ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა - მსჯავრდებულმა ა. გ-ძემ და მისმა ადვოკატმა მ. ყ-შვილმა საჩივარში აღნიშნეს, რომ ადასტურებენ „სუბოტექსის“ უკანონოდ შექმნა-შენახვის ფაქტს, მაგრამ იმ ოდენობით, რაც თითოეულს ჰქონდა, რადგან მათ არაფერი იცოდნენ ერთმანეთის განზრახვის შესახებ, ამასთან, ა. გ-ძის ქმედება ჩადენილი იყო ერთიანი განზრახვით, იყო განგრობადი დანაშაული და იგი არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო ორ დამოუკიდებელ დანაშაულად. რაც შეეხება მსჯავრდებულთა წინასწარ შეთანხმებას ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვის ფაქტთან დაკავშირებით, ეს საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება.

ადვოკატმა მ. ყ-შვილმა „გაეროს“ 1971 წლის 21 თებერვლის კონვენციაზე დაყრდნობით, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1997 წლის 28 მაისის #733 დადგენილებით, მიუთითა, რომ აღნიშნულ კონვენციაზე თანდართულ მე-3 სიაში „ბუპრენორფინი“ წარმოადგენს არა ნარკოტიკულ საშუალებას, არამედ - ფსიქოტროპულ ნივთიერებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში საქმის წარმოებით შეწყვეტა, ხოლო ა. გ-ძის მიმართ სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებული ქმედებისათვის საერთაშორისო ხელშეკრულების გათვალისწინებით - სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა.

კასატორმა - მსჯავრდებულ დ. შ-ძის ადვოკატმა გ. ნ-შვილმა აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მსჯავრდებულთა წინასწარი შეთანხმება ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვაზე, დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას, არასწორია ქმედების კვალიფიკაცია. ამდენად, მან ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და დ. შ-ძის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრების მოთხოვნებს უკანონო განაჩენის გაუქმების, მსჯავრდებულთა წინასწარი შეთანხმებით ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შეძენა-შენახვისათვის წარდგენილ ბრალდებაში საქმის წარმოებით შეწყვეტისა და მათი ქმედებების არასწორი კვალიფიკაციის შესახებ, უსაფუძვლოების გამო, რადგან აღნიშნული ეწინააღმდეგება როგორც საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, ასევე მოწმეების - ო. კ-მისა და მ. ტ-შის მიერ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებს, რომლითაც დადგენილია, რომ მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მსჯავრდებულმა მათ კითხვაზე, ხომ არ ინახავდნენ ბინაში რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთს ან ნივთიერებას, მათ განაცხადეს, რომ ბინაში ინახავდნენ ნარკოტიკულ საშუალება „სუბოტექს“. ამ განცხადების შემდეგ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების რეალობა მსჯავრდებულებმა დაადასტურეს ხელმოწერით და ეს მათ არც შემდეგში გაუხდიათ სადავოდ.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულმა დ. შ-მემ მსჯავრდებულ ა. გ-მის გაცნობის მიზეზად დაასახელა ნარკოტიკულ საშუალებებთან კავშირი.

ამდენად, პალატა თვლის, რომ დაცვის მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულები ინდივიდუალურად ინახავდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს და ერთმანეთის ქმედების შესახებ არაფერი იცოდნენ, საფუძველს მოკლებულია.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების: ა. გ-მისა და დ. შ-მის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე - დამამძიმებელი გარემოებები.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მსჯავრდებულების აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების: ზ. მ-მის, მ. ტ-შის, ნ. ნ-ვას, ო. კ-მის ჩვენებებით, ექვმიტანილთა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს #422/სქ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, 2008 წლის 14 აპრილის ნარკოლოგიური შემოწმების #3411969, 3411970 დასკვნებით, 2008 წლის 16 აპრილის ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის შესახებ დადგენილებით და საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულების მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

„უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნუსხის“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 23 ივლისის დადგენილებით „ბუპრენორფინი“ გათვალისწინებულია, როგორც ნარკოტიკული საშუალება და დიდ ოდენობად ითვლება 0,012 გრამი, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად - 0,12 გრამი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების - ა. გ-მისა და დ. შ-მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდებები უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2008 წლის 14 აპრილის #422/სქ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით ა. გ-მის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ აბებს, აბის ნატეხებს და ფხვნილს, საერთო წონით 38,8112 გრამს, რომლებშიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობაა 0,7762 გრამი. დ. შ-მის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ აბის ნატეხს, საერთო წონით 0,138 გრამს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობაა 0,0027 გრამი. ხოლო მათი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ აბის ნატეხებს, საერთო წონით 12,70605 გრამს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ საერთო რაოდენობაა 0,2541 გრამი.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერი, დასაბუთებულია და არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ა. გ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I, II და 67-ე მუხლის V ნაწილების გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 23 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტებისა და იმავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებულ დ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული ჯარიმა - 2000 ლარი - უნდა გაუნახევრდეს და შეეფარდოს ჯარიმა - 1000 ლარი.

მსჯავრდებულ დ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 59-ე და 61-ე მუხლების II ნაწილების საფუძველზე საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 1000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტებით, იმავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ა. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ა. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I, II და 67-ე მუხლის V ნაწილების გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 23 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

„ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, III პუნქტებისა და იმავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებულ დ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული ჯარიმა - 2000 ლარი - გაუნახევრდეს და შეეფარდოს ჯარიმა - 1000 ლარი.

მსჯავრდებულ დ. შ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით, საქართველოს სსკ-ის 59-ე და 61-ე მუხლების II ნაწილების საფუძველზე საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 1000 (ათასი) ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#70აპ-09

7 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
ზ. მენიშვილი,

პ. სილაგამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. დ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით ზ. დ-ლი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "დ", "ე" ქვეპუნქტებით 8 წლით, 273-ე მუხლით - 1 წლით, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ზ. დ-ლს განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 11 თვე, 27 დღე და მიესაჯა 12 წლით, 11 თვით და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2008 წლის 27 ივლისიდან. მსჯავრდებულს 5 წლით ჩამოერთვა "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. დ-ლმა არაერთგზის ჩაიდინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სსკ-ის ამ თავით გათვალისწინებული დანაშაული; მანვე, იყო რა სასამართლევი სსკ-ის 273-ე მუხლით, ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. ყოველივე გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 3 ივლისს ზ. დ-ლი გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ და სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 273-ე მუხლით მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებულს ჩაეთვალა პირობით, ამავე ვადით.

მიუხედავად ამისა, ზ. დ-ლმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. 2008 წლის 27 ივლისს, დაახლოებით 16.⁴⁵ საათზე, ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი ზ. დ-ლი დააკავეს ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე. ჩხრეკის შედეგად მას მარცხენა ფეხის წინადაში აღმოაჩნდა სამ მილიგრამიანი შპრიცი მოყვითალო, გამჭვირვალე სითხით. შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით, შპრიცში მოთავსებული ხსნარი შეიცავდა 0,0053 გრამ „ჰეროინს“.

იმავე დღეს ზ. დ-ლი შემოწმდა საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში და დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების და „მეტამფეტამინის“ მიღების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ა. გ-შვილმა. მან მოითხოვა განაჩენიდან სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტისა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ერთი ეპიზოდის ამორიცხვა და სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 დეკემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად, ზ. დ-ლს გაუნახევრდა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელები და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი, 6 თვე და განესაზღვრა 10 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულის სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა 2007 წლის 16 აპრილიდან დაკავების დრო - 3 დღე და სასჯელის ათვლა დაეწყო 2008 წლის 27 ივლისიდან.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ა. გ-შვილი საჩივარში აღნიშნავს, რომ ზ. დ-ლის ქმედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით დაკვალიფიცირდა, რადგან მას წარსულში ჩადენილი ჰქონდა ამავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო "ე" ქვეპუნქტით კი იმის გამო, რომ ადრე ასევე ჩადენილი ჰქონდა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება. აღნიშნული დაუშვებელია, რადგან, კასატორის აზრით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" და "ე" ქვეპუნქტები ერთი და იგივეა და მოიცავენ ერთმანეთს. ზ. დ-ლს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (2008 წლის 25 ივლისის ეპიზოდი) ბრალად შეერაცხა იმის გამო, რომ სასამართლევი იყო ამავე მუხლით. შემდეგ იგი ბრალდებულად კვლავ იქნა მიცემული პასუხისგებაში სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 27 ივლისის ეპიზოდი), რაც ასევე დაუშვებელია, ვინაიდან გამოდის, რომ ერთი და იმავე ქმედების გამო პირს წარედგინა ორი, იდენტური ბრალდება. ამავე საფუძვლით (სსკ-ის 273-ე მუხლით სასამართლობის გამო) ზ. დ-ლის ქმედება დაკვალიფიცირდა 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტითაც და აშკარაა, რომ ერთი ქმედებისათვის პირი დაისაჯა ორჯერ.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სსკ-ის 508-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად ცნო. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში არ არის მითითებული სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ერთი ეპიზოდი, თუმცა ზ. დ-ლს ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ორი ეპიზოდისათვის აქვს დანიშნული სასჯელი, რაც აშკარად უკანონოა.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ზ. დ-ლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. გათვალისწინებულია მხოლოდ ის, რომ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევა და დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენიდან სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტის ამორიცხვას და ამ მუხლით სასჯელის მინიმუმის დანიშვნას, ასევე - სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ერთ ეპიზოდში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. კანონის სწორედ ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტი გულისხმობს კოდექსის ამავე თავში მითითებული სხვა, ნებისმიერი დანაშაულის ჩადენას, გარდა 260-ე მუხლით გათვალისწინებულისა. ამდენად, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "დ" და "ე" ქვეპუნქტების იდენტურობაზე მითითება უსაფუძვლოა.

რამდენადაც ზ. დ-ლი ნასამართლევი იყო სისხლის სამართლის კოდექსის როგორც 260-ე, ისე 273-ე მუხლით, თუნდაც ერთი განაჩენით, მისი ქმედება სწორად დაკვალიფიცირდა.

ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს ზ. დ-ლისათვის სსკ-ის 273-ე მუხლით ბრალად შერაცხულ, 2008 წლის 25 ივლისს ჩადენილი ქმედების ეპიზოდს. ბრალდების ეს ნაწილი საქალაქო სასამართლოს დადგენილად არ მიუჩნევა, და, შესაბამისად, არასწორია სასჯელის დანიშვნა იმ დანაშაულისათვის, რომელიც დამტკიცებულად არ არის ცნობილი.

იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარის წარმომადგენელს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია, სააპელაციო პალატის განაჩენიდან უნდა ამორციხოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ერთი - 2008 წლის 25 ივლისის ეპიზოდი და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, ზ. დ-ლს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "დ", "ე" ქვეპუნქტებითა და 273-ე მუხლით უტყუარად დადგენილი ქმედებებისათვის მსჯავრდებულს დანიშნული აქვს ზომიერი სასჯელი, რომლის შემცირების საფუძველი არ არსებობს. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები გათვალისწინა ორივე ინსტანციის სასამართლომ და ამასთან დაკავშირებით კასატორის აპელირება უსაფუძვლოა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. დ-ლის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის განაჩენიდან ამორიცხოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 25 ივლისის ეპიზოდი) გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში ზ. დ-ლის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ზ. დ-ლს საბოლოოდ განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#50-აპ-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. უ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ა. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენით დ. უ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 3 აპრილიდან.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე დ. უ-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა „დაიმლერ-ბენცი“ და გადაეცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ფინანსთა სააგენტოს.

იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება მსჯავრდებულებს - დ. ქ-ძეს, კ. ვ-იასა და პროკურორ დ. მ-შვილს შორის, რომლის თანახმადაც, დ. ქ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 12. 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე დ. ქ-ძეს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა „მიცუბიშ გალანტი“ და გადაეცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო სააგენტოს.

კ. ვ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით, რისთვისაც იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 დეკემბრის დადგენილებით კ. ვ-იას „ამნისტიის შესახებ“ 2003 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, გაუნახევრდა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. კ. ვ-იას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 40 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე კ. ვ-იას სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანები: „რენო-კლიო“, „მერსედეს-ბენცი-320“, „ოპელ-ასტრა“ და გადაეცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო სააგენტოს.

განაჩენით დ. უ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ;

მასვე მსჯავრი დაედო ასევე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენის, შენახვისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 მაისის დადგენილებით დ. უ-ძეს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 75 ლარი.

ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში მან ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება.

2007 წლის 2 აპრილს ქ. თბილისში, „ელიავას“ ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. უ-ძემ, კ. ვ-იასთან წინასწარი შეთანხმებით, დ. ქ-ძეზე უკანონოდ გაასალა დიდი ოდენობით - 0,08925 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი პრეპარატ „სუბოტექსის“ აბები. 2007 წლის 3 აპრილს საქართველოს შს სამინისტროს სოდ-ის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, დააკავეს დ. უ-ძე და კ. ვ-ია.

მისი ბინის ჩხრევისას ამოღებულ იქნა მათ მიერ წინასწარი შეთანხმებით შეძენილი და შენახული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 7, 1447 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ 893 აბი და აბის ნატეხი, ასევე - 0,00099 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი ხსნარი.

დ. უ-ძის პირადი ჩხრევისას ამოიღეს დიდი ოდენობით - 0,0212 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ 2 აბი და 2 აბის ნატეხი, ხოლო კ. ვ-იას პირადი ჩხრევისას - განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 0,5642 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ 70 აბი და 1 აბის ნატეხი. სულ მთლიანად კ. ვ-იამ, დ. უ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 7,82106 გრ. „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ აბები, საიდანაც კ. ვ-იამ, დ. უ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, დ. ქ-ძეზე უკანონოდ გაასალა დიდი ოდენობით - 0,08925 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ აბები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენი დ. უ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

მსჯავრდებულმა სააპელაციო საჩივარში განმარტა, რომ მას ნარკოტიკული საშუალება არ გაუსალეზბია, რის გამოც მასზე შერაცხული მსჯავრდებიდან უნდა ამოირიცხოს ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი. აპელანტის მოსაზრებით, ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც აღნიშნულ ნაწილში განაჩენს საფუძვლად დაედო, არის მსჯავრდებულ კ. ვ-იას ჩვენება და იგი სინამდვილეს არ შეესაბამება. მსჯავრდებულმა გულწრფელად აღიარა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შენახვა. მან აღნიშნა, რომ იგი არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, დაავადებულია „ც“ ჰეპატიტით, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, ავადმყოფი მეუღლე და ითხოვა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტის ამორიცხვა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მსჯავრდებულმა დააზუსტა სააპელაციო საჩივარი. მან ითხოვა ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ნაწილში - გამართლება, ჩამორთმეული ავტომანქანის დაბრუნება მისი კანონიერი მფლობელისათვის და დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

დ. უ-ძეს „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაუნახვერდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და მოსახდელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე კი საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 14 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ დ. უ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. გ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა საჩივრით ითხოვა დ. უ-ძისათვის ნარკოტიკების გასაღების ნაწილში სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა და სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - სასჯელის მინიმუმის შეფარდება. ასევე ითხოვა განაჩენის გაუქმება ავტომანქანის ჩამორთმევის ნაწილში და კანონიერი მფლობელისთვის მისი დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება დ. უ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ა. გ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულისათვის სასჯელის მინიმუმის შეფარდების შესახებ, რადგან სა-აპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინა დ. უ-ძის როგორც პა-სუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე - მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრა სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატა ეთანხმება და თვლის, რომ არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: კ. ქ-ძის, რ. დ-ოვის, ვ. მ-შვილის, მ. ფ-იასა და გ. ჯ-იას ჩვენებებით, მსჯავრდებულების - დ. ქ-ძის, კ. ვ-იას, დ. უ-ძის ჩვენებებით, მსჯავრდებულთა პირადი, ბინის, ავტომანქანის ჩხრეკის, ამოღების ოქმებით, ნარკოლოგიური შემოწმების #2184 და #2185 დასკვნებით, ქიმიური ექსპერტიზის #478/სქ და #479/სქ დასკვნებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 9 მაისის დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელის და-დების შესახებ და საქმის სხვა მასალებით დ. უ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსა-წინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების გარდა, დადასტურებუ-ლია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, დ. უ-ძეს ბრალი დაედო იმაში, რომ მასთან წინასწარი შეთანხმებით, კ. ვ-იამ 2007 წლის 2 მაისს ქ. თბილისში, "ელიავას" ბაზრობის მიმდებარე ტე-რიტორიაზე, დ. ქ-ძეზე უკანონოდ გაასაღა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება "ბუპრე-ნორფინის" შემცველი პრეპარატ "სუბოტექსის" აბები.

ბრალდების აღნიშნული ფორმულირება არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კა-ნონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ცნების განმარტებას, რადგან ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაცია არის მატერიალური დანაშაული და მის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს მისი გადა-ცემა სხვა პირისათვის სასყიდლით ან სხვა სახით. საქმის მასალებით კი დადგენილია, რომ ნარ-კოტიკული ნივთიერება დ. ქ-ძეზე გაასაღა კ. ვ-იამ და არა - დ. უ-ძემ.

დ. უ-ძის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში - ემყა-რება მხოლოდ ბრალდების მხარის - საქართველოს შსს სოდ-ის ინსპექტორ-გამომძიებლების - რ. დ-ოვის, ვ. მ-შვილის, მ. ფ-იას, გ. ჯ-იას ჩვენებებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ 2007 წლის 3 აპრილს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს დ. ქ-ძე და დ. კ-ძე. დ. ქ-ძის ჩვენების საფუძველზე კი დ. უ-ძის ბინაში დააკავეს კ. ვ-ია და დ. უ-ძე, რომლის საცხოვრებე-ლი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 7,1447 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ბუპრენორფინის" შემცველი "სუბოტექსის" 893 აბი და აბის ნატეხი.

მსჯავრდებულმა დ. ქ-ძემ როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებ-ში განაცხადა, რომ ნარკოტიკულ საშუალებას იძენდა კ. ვ-იასგან და დ. უ-ძის სახლში იგი არასოდეს შეუძენია. მან აღნიშნა: "ჩემი დაკავების დღეს კ. ვ-იას უნდა შევხვედროდი უ-ძის ბინაში, სადაც კ-ს 2800 ლარად ჩემთვის უნდა გადმოეცა 8 ე.წ. "ლისტი" ნარკოტიკული საშუა-ლება - "სუბოტექსი", ხოლო დარჩენილი თანხა უნდა მიმეცა მოგვიანებით. უ-ძის ბინიდან ამო-ღებული ნარკოტიკი კ. ვ-იას ეკუთვნოდა."

მსჯავრდებულმა კ. ვ-იამ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა: „დ. უ-ძესთან მისვლისას ჯიბეში მქონდა 10 ფირფიტა "სუბოტექსი", რომელიც შეძენილი მქონდა პირადი მოხ-მარებისათვის და რაც ამოიღეს სოდის თანამშრომლებმა". ბრალდებულად დაკითხვის დროს კი განაცხადა, რომ: "უ-ძის ბინიდან ამოღებული 893 "სუბოტექსის" აბი მასთან ერთად არ შემიძე-ნია, არც ის ვიცოდი, უ-ძეს ჰქონდა თუ არა ეს აბები ბინაში. სიმართლეს არ შეესაბამება ისიც, რომ მე უ-ძესთან შეთანხმებით, 2 აპრილს "ელიავას" ბაზრობაზე დ. ქ-ძეზე გავასაღე "სუბოტექ-სის" აბები".

ბრალდებულად დამატებითი დაკითხვის დროს კ. ვ-იამ შეცვალა ჩვენება და განაცხადა: "ჩემი დაკავების დღეს 10 ფირფიტა ნარკოტიკული საშუალება შევიძინე დ. უ-ძისგან, რაშიც გადავიხა-დე თანხის ნაწილი. დ. უ-ძეს მე გადავეცი ჩემი კუთვნილი ავტომანქანა "ოპელ-ომეგა", რომლის საფასურიც მას სრულად არ ჰქონდა გადახდილი და გაქვითავდა ნარკოტიკების ღირებულებაში. ნარკოტიკებს ყოველთვის დ. უ-ძისგან ვყიდულობდი".

სასამართლო გამოძიებაში კი აღნიშნა, რომ მას უ-ძისათვის ნარკოტიკი არ დაუტოვებია, მის-თვის ნარკოტიკი არ მიუყიდა და არც ქ-ძეს შეუძენია იგი მისგან.

თავად მსჯავრდებულმა დ. უ-ძემ თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ ნარკოტიკული საშუალება არასოდეს არავისზე გაუსაღებია. 3 წელია, რაც ნარკოტიკების მოძიებაზე არაა დაინტერესებული. ნარკოტიკს აძლევ-და კ. ვ-ია, რომელსაც მისთვის მანქანა არ მიუყიდა. მისი ბინიდან ამოღებული 893 "სუბოტექ-სის" აბი ეკუთვნოდა კ. ვ-იას - აბები ამ უკანასკნელმა მიიტანა და მასვე უნდა წაეღო.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება. თვით ის ფაქტი, რომ კ. ვ-ამ რამდენჯერმე შეცვალა მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, ადასტურებს მხოლოდ ერთს: იგი ცდილობს, მის მიერ ჩადენილი დანაშაული სხვას გადააბრალოს და ამ გზით პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, სასჯელი შეიმუშუქოს.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმეებისა და მსჯავრდებულ კ. ვ-ის მიერ მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, "ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ."

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დ. უ-მე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა დ. უ-მის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, დ. უ-მისათვის საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა „დაიმლერ ბენცის“, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას, პალატის აზრით, არასწორია, რადგან როგორც თბილისის საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“. იმავე მუხლის III ნაწილის საფუძველზე კი „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ხდება იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული“, რაც, პალატის აზრით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ მომხდარა.

ამდენად, დ. უ-მისათვის ჩამორთმეული ავტომანქანა „დაიმლერ ბენცი“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულად. ამიტომ მისი ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ საკასაციო პალატას არასწორად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

დ. უ-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

დ. უ-მეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა „დაიმლერ-ბენცის“, ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული ავტომანქანა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. უ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ა. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

დ. უ-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

დ. უ-მეს განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება სახელმწიფოს სასარგებლოდ ნივთმტკიცებად ცნობილი ავტომანქანა „დაიმლერ-ბენცის“, ჩამორთმევის თაობაზე და აღნიშნული ავტომანქანა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#163-აპ-09

24 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 იანვრის განაჩენით გ. მ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 29 მარტიდან.

გ. მ-ლს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

გ. მ-ლს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, გადაზიდვისათვის, ასევე - ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

გ. მ-ლმა 2008 წლის 28 მარტს ქ. ბათუმში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, ვინმე „მოსესაგან“ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“, ჩრდილოეთ საქართველოში უკანონოდ გადაზიდა ქ. თბილისში და რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2008 წლის 29 მარტს თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე მდებარე „ვისოლის“ ავტოგასამართი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისის გლდანი-ნამაღალაძევის სამმართველოს მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა ექვმიტანილის სახით დააკავეს გ. მ-ლი. ჩატარებული პირადი ჩხრეკისას შარვლის მარცხენა ჯიბეში მას აღმოაჩნდა სიგარეტ „ვინსტონის“ კოლოფში მოთავსებული პოლიეთილენის ტომარა, მასში მოთავსებული ფხვნილისებური მასით. ქიმიური ექსპერტიზის #350/სქ დასკვნით, გ. მ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მოყვითალო ფერის ფხვიერი

ნივთიერება, წონით - 9.25 გრამი, წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება - "ჰეროინის" შემცველ ნარევს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება - "ჰეროინის" წონაა - 4.255 გრამი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 მარტის დადგენილებით გ. მ-ლი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის დაჯარიმდა 500 ლარით. მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. კერძოდ, 2008 წლის 29 მარტს, ექვმიტანილის სახით დაკავების შემდეგ, გ. მ-ლი გადაიყვანეს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური ექსპერტიზის #3211062 დასკვნით დაუდგინდა "ოპიუმის" ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. მ-ლმა, რომელმაც საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მსჯავრდებულმა გ. მ-ლმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შეცვალეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 იანვრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

გ. მ-ლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 8 წლითა და 6 თვით, ხოლო 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

"ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გ. მ-ლს გაუნახევრდა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. მ-ლმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივრით აღნიშნა, რომ აღიარა, მოინანია ჩადენილი დანაშაული, ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი და ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების - ი. მ-ძის, ვ. გ-ძის ჩვენებებით, მსჯავრდებულ გ. მ-ლის აღიარებითი ჩვენებით, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, 2008 წლის 29 მარტის საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის #350/სქ დასკვნით, 2008 წლის 29 მარტის საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების #3211062 აქტით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მარტის დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით და საქმის სხვა მასალებით გ. მ-ლის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, ნარკოტიკების გადაზიდვის გარდა, დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. მ-ლის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების მიზნით განაჩენში ცვლილების შეტანის შესახებ, უსაფუძვლოდ გამო:

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით, "მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა". აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, პალატა თვლის, რომ გ. მ-ლისათვის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ. იგი სავსებით უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზ-

ნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

გ. მ-ლის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვის ნაწილში - ემყარება მხოლოდ ბრალდების მოწმეების ჩვენებებს.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით, უკანონო გადაზიდვისას ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების ნებისმიერი მეთოდით გადაადგილება ერთი ადგილიდან საქართველოს სხვა ადგილას მისი განთავსების მიზნით, ტვირთის გამგზავნის ან ადრესატის თანდასწრებით. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს პირის მიზანზე: თუ ხდება ნარკოტიკული საშუალების გადაადგილება სხვა ადგილზე მისი მოთავსების მიზნით, მაშინ საქმე გვაქვს უკანონო გადაზიდვასთან, ხოლო თუ ასეთი მიზანი არ არსებობს - უკანონო შენახვასთან.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯავრდებულს ასეთი მიზანი არ ამოძრავებდა.

მსჯავრდებულმა გ. მ-ლმა როგორც წინასწარ, ისე სასამართლო გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებში განაცხადა, რომ არის ნარკოტიკების მომხმარებელი და იგი სხვა მიზნით არასოდეს არ მოუყენებია.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ: არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გადაზიდვის ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე.

საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვისას დამტკიცდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე, ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დ. უ-მე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა გ. მ-ლის მიერ ნარკოტიკების გადაზიდვის ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. მ-ლის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გადაზიდვის ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 30 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

გ. მ-ლის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გადაზიდვის ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს მსგავსი დანაშაული; პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება; ამნისტია

განჩინება

#906-აპ-09

27 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. მ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენით ბ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით 8 წლით, ხოლო 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა 2008 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 2 წელი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს დაემატა 2008 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით შეფარდებული და 2009 წლის 5 იანვრის დადგენილებით ამნისტიის საფუძველზე განახევრებული სასჯელი – 1 წელი და განაჩენთა ერთობლიობით ბ. მ-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბ. მ-ძეს “ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 6 დეკემბრიდან.

განაჩენით ბ. მ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; ასევე, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა-შენახვისა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ბ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2008 წლის 9 იანვრის ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 22 იანვრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 13 თებერვლის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, ბ. მ-ძეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 2000 ლარი.

მიუხედავად ამისა, ბ. მ-ძე არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ე.წ. „ფოლგის“ ქალაქში გახვეული ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, რომელიც უკანონოდ შეინახა თავისივე ლურჯი ჯინსის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბეში.

2008 წლის 6 დეკემბერს თბილისში, გ. ბ-ეს ქუჩაზე, თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს IV განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში ეჭვმიტანილი ბ. მ-ძე, რომელსაც პირადი ჩხრეკისას ლურჯი ჯინსის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბეში აღმოაჩნდა ე.წ. „ფოლგის“ ქალაქში გახვეული თეთრი აბის ნატეხი წარწერით „ბ“, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის #1474/სქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება - „ბუპრენორფინის“ შემცველი აბის ნატეხს, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველობაა - 0. 0037 გრამი.

2008 წლის 6 დეკემბერს თბილისის გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს IV განყოფილების თანამშრომლებმა ჩაატარეს ბ. მ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რა დროსაც საძინებელში, დივნის სათავსიდან ამოიღეს დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ბ. მ-ძის მიერ უკანონოდ შეძენილი, გახეთის ნაგლეჯში გახვეული, მწვანე ბალახეული ნივთიერება, რომელიც, ქიმიური ექსპერტიზის #1473/სქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება გამომშრალ „მარიხუანას“.

2008 წლის 6 დეკემბერს ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმების #5036181 დასკვნით, ბ. მ-ძეს ლაბორატორიული გამოკვლევით დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება - ოპიუმის ჯგუფისა და „ტეტრაჰიდროკანბინოლის“ (მარიხუანა) მოხმარების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. მ-ძემ. საჩივარში აპელანტი აღნიშნავდა, რომ მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებას სადავოდ არ ხდის, რომელიც აღიარა კიდევ გამოძიებისა და სასამართლოს წინაშე. რაც შეეხება სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებას, არ აღიარებს, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალება პოლიციის თანამშრომლებმა ჩაუდეს შარვლის უკანა ჯიბეში, რითაც დაირღვა მისი უფლებები და რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

ამდენად, აპელანტმა ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ხოლო დანარჩენ ნაწილში - განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. მ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ხოლო 273-ე მუხლით შეფარდებული სასჯელის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უსაფუძვლოების გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ ბ. მ-ძის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე - დამამძიმებელი გარემოებები.

საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების: ხ. ნ-ძის, გ. ა-შვილის, დ. დ-ძის, ა. ა-შვილის ჩვენებებით, დაკავების, პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის #1473/სქ და #1474/სქ დასკვნებით, ნარკოლოგიური შემოწმების #5036181 დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008

წლის 21 ოქტომბრის განაჩენით, იმავე სასამართლოს 2009 წლის 5 იანვრის დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ბ. მ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ბ. მ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ბ. მ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით, საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ბ. მ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ბ. მ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით, საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#903-აპ-09

7 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. გ-იასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ნ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სენაკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის განაჩენით ბ. გ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 273-ე მუხლით, ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ბ. გ-იას სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს (9 წლით თავისუფლების აღკვეთა)

მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით ბ. გ-იას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 (სამი ათასი) ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 16 მარტიდან.

ბ. გ-იას "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელი-სუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ბ. გ-იას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ასევე, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახ-დელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის დადგენილებით ბ. გ-ია ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანას“) ექიმის დანიშნულებს გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელად დაენიშნა ჯარიმა - 500 ლარი.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ბ. გ-იამ ექიმის დანიშნულების გარეშე, კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ: 2009 წლის 10 იანვარს საქართველოს შსს-ის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ბ. გ-ია შეამოწმეს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ზუგდიდის განყოფილებაში ნარკოტიკულ თრობაზე. გამოკვლევით ბ. გ-იას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ („მარიხუანას“) მიღების ფაქტი. ამის შემდეგ ბ. გ-იამ კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება.

2009 წლის 16 მარტს სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კვლავ შეამოწმეს ბ. გ-ია ნარკოტიკულ თრობაზე. ლაბორატორიული კვლევით ბ. გ-იას დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი. ზემოაღწერილი ქმედების შემდეგ ს-ის რაიონის სოფელ თ-ში მცხოვრებმა ბ. გ-იამ გამოძიებით დაუდგინებლ ვითარებაში უკანონოდ შეიძინა 9,34 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა.

2009 წლის 16 მარტს, 14 საათსა და 30 წუთზე, სენაკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ბ. გ-ია დააკავეს ექვმიტანილის სახით და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. ჩხრეკისას ამოიღეს გამჭვირვალე პოლიეთილენის ნაგლეჯში შეხვეული, მომწვანო-მორუხო ფერის დაქუცმაცებული მცენარეული მასა, რაც ქიმიური ექსპერტიზის #46/სქ დასკვნით, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „მარიხუანას“, წონით - 9,34 გრამს.

აპელანტმა - მსჯავრდებულ ბ. გ-იას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ხ-იამ სააპელაციო საჩივარში აღნიშნა, რომ მსჯავრდებული არის 22 წლის, ის ცდილობს მიატოვოს ეს მავნე ჩვევა, იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრებით, გააგრძელოს სწავლა, შექმნას ოჯახი და გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ამდენად, მან ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და სასჯელის შემსუბუქება.

მსჯავრდებულ ბ. გ-იას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ნ-მემ, მსჯავრდებულთან შეთანხმებით, დააზუსტა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა ბ. გ-იასათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე სასჯელის მინიმუმის დანიშვნა და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის გამოყენებით დანიშნული სასჯელის ერთი მეოთხედის პირობით მსჯავრად ჩათვლა, დანარჩენ ნაწილში კი გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

სახელმწიფო ბრალმდებელმა, სენაკის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნ. ს-მემ მხარი არ დაუჭირა დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარს და ითხოვა ცვლილების შეტანა გასაჩივრებულ განაჩენში იმ მიმართებით, რომ პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ბ. გ-იას მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2009 წლის 16 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულში, ხოლო დანარჩენ ნაწილში კი გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით სენაკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

ბ. გ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2009 წლის 16 მარტის ეპიზოდი) გათვალისწინებულ დანაშაულში, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო.

ბ. გ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2009 წლის 10 იანვრის ეპიზოდი), ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, ბ. გ-იას სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს (8 წლით თავისუფლების აღკვეთა) მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით ბ. გ-იას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. გ-იამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ნ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორებმა საჩივრით ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება, რადგან მსჯავრდებულის ქმედება არ მოიცავს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის დამახასიათებელ ნიშნებს და, საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, განსასჯელის აღიარებითი ჩვენებით, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ნარკოლოგიურ თრობაზე შემოწმების #346919 და #34670 დასკვნებით, ქიმიური ექსპერტიზის #46/სქ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 თებერვლის დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და საქმის სხვა მასალებით ბ. გ-იას მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია, მაგრამ მას სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულის ქმედება არ მოიცავს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის დამახასიათებელ ნიშნებს, რადგან ამ კვალიფიკაციის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სსკ-ის 33-ე თავით გათვალისწინებული დანაშაული, ე.ი. მას, ვის მიმართაც ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულისათვის განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული, რასაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და ბ. გ-იას ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის I ნაწილზე და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I, III პუნქტებისა და იმავე კანონის მე-2 მუხლის II პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელზე), მსჯავრდებულ ბ. გ-იას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ბ. გ-იას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილითა და 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I, II და 67-ე მუხლის V ნაწილების გამოყენებით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I, III პუნქტებით, იმავე კანონის მე-2 მუხლის II პუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. გ-იასა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. ნ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ბ. გ-იას ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის I ნაწილზე.

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I, III პუნქტებისა და იმავე კანონის მე-2 მუხლის II პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელზე), მსჯავრდებულ ბ. გ-იას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ბ. გ-იას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილითა და 273-ე მუხლით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I, II და 67-ე მუხლის V ნაწილების გამოყენებით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#921-აპ-09

9 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ომხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. კ-უასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ზ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 31 აგვისტოს განაჩენით ვ. კ-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 იანვრის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ვ. კ-უას სახდელად განესაზღვრა პატიმრობა 7 დღით. იმავე წლის აპრილში მან კვლავ შეიძინა მცირე ოდენობით „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება, რაც უკანონოდ მოიხმარა. 17 აპრილს ვ. კ-უა შეამოწმეს სამეგრელო-ზემო სვანეთის საქსპერტო განყოფილებაში, სადაც დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარება.

აღნიშნული ქმედებისათვის ვ. კ-უას მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 11 თვე, 28 დღე და განესაზღვრა 3 წლით, 5 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა

დაეწყო 2009 წლის 31 აგვისტოდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალა დაკავების დრო - 2 დღე. ვ. კ-უას 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული უფლებები და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5 000 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა. მათ ითხოვეს დამატებული სასჯელისა და ჯარიმის მოხსნა და საბოლოოდ 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა.

კასატორები - მსჯავრდებული ვ. კ-უა და ადვოკატი ჯ. ზ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ ვ. კ-უა თავიდანვე აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს; არ დამალვია წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს; ჰყავს მძიმე სენით დაავადებული მეუღლე, რომელსაც ესაჭიროება სასწრაფო ოპერაცია, ასევე - მცირეწლოვანი შვილი და ღრმად მოხუცებული დედა; არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი; წინა დანაშაულისათვის იგი შეცდომით გაასამართლეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის მოხსნას და სასჯელის საბოლოო ზომად 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს. შესაბამისი დასკვნით ირკვევა, რომ შემოწმებისას ვ. კ-უა იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, რასაც თვითონაც არ უარყოფს.

ვ. კ-უას მიმართ გამოტანილ წინა სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პალატა ვერ იმსჯელებს და რადგან მოცემულ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი განსაზღვრულია განაჩენთა ერთობლიობით, მისი 6 თვემდე შემცირების მოთხოვნა უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვ. კ-უას მიმართ მხედველობაშია მიღებული საქმეში არსებული, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მასალები და საჩივარში მითითებული მოტივებით სასჯელის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული ძირითადი სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. კ-უასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. ზ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ ვ. კ-უას გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ვ. კ-უას საბოლოოდ განესაზღვროს 3 წლით, 2 თვით და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა - 5 000 ლარი.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#971-აპ-09

16 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განაჩენით ა. ა-შვილი გამართლდა სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ერთ ეპიზოდში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით (ბრალდების 4 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული და ამ დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 24 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ა. ა-შვილი დააჯარიმა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის.

2008 წლის 11 დეკემბერს ა. ა-შვილი გაასამართლა თბილისის საქალაქო სასამართლომ და სსკ-ის 273-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის შესაბამისად, მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებულს ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ა. ა-შვილმა კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ, 2009 წლის 16 იანვარს იგი იმყოფებოდა თბილისში, მეტროს სადგურ „ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ ის იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და დააკავეს ადმინისტრაციული წესით, რის შემდეგაც გადაიყვანეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ა. ა-შვილს ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება. გამოკვლევის დასკვნით, იგი კლინიკურად იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ხოლო ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის" მიღების ფაქტი.

იმავე წლის 30 იანვარს, ა. ა-შვილი იმყოფებოდა თბილისში, პაიჭაძის ქუჩაზე, რა დროსაც შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ იგი იყო ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, დააკავეს ადმინისტრაციული წესით და გადაიყვანეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც მას ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება და დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის" მიღების ფაქტი.

2009 წლის 4 თებერვალს, ა. ა-შვილი თბილისში, დიდმის მასივის მე-4 კვარტლის მე-4 კორპუსთან შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ ის იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ და დააკავეს ადმინისტრაციული წესით, რის შემდეგაც გადაიყვანეს საექსპერტო დაწესებულებაში, სადაც ა. ა-შვილს ჩაუტარდა შემოწმება და დაუდგინდა „მეტამფეტამინის" მიღების ფაქტი.

იმავე წლის 27 თებერვალს, ა. ა-შვილი იმყოფებოდა თბილისში, რა დროსაც შეამჩნიეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა და დააკავეს ადმინისტრაციული წესით, რის შემდეგაც გადაიყვანეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც მას ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება და დაუდგინდა „მეტამფეტამინის" მიღების ფაქტი.

სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ორ ეპიზოდში ა. ა-შვილს განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დარჩენილ ორ ეპიზოდში ჯარიმა - 2000 ლარი, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 5 თვე, 7 დღე და საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 5 თვისა და 7 დღის ვადით და ჯარიმა - 2000 ლარის ოდენობით; მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონში მითითებული უფლებები. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 2 მარტიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ა. შ-შვილმა, რომელმაც ითხოვა ა. ა-შვილის გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ა. ა-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის დროს დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-3, მე-6, მე-8 და მე-14 მუხლები, საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-20 და 42-ე, სსკ-ის მე-12, მე-13, მე-15, მე-18, მე-11, 119-ე და სხვა მუხლები, ასევე - ქვეყნის შიდა სამართლებრივი სტანდარტები; ა. ა-შვილი დაავადებულია ნარკომანიით, სახელმწიფო კი მკურნალობის ნაცვლად იყენებს სასჯელს; პირობების არარსებობის გამო მსჯავრდებული იძულებულია, თავი დააღწიოს გაუსაძლის ფსიქიკურ მდგომარეობას და თავად მოიპოვოს მისი შემსუბუქების აუცილებელი საშუალებები; ა. ა-შვილი დააკავეს ქუჩაში მაშინ, როდესაც ის არანაირ საფრთხეს უქმნიდა საზოგადოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ა. ა-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არც ა. ა-შვილი უარყოფს. აღსანიშნავია, რომ მისივე განმარტებით, "არც დაინტერესებულა, რომ ემკურნალა", ხოლო პატიმრობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ნარკოტიკს აღარასოდეს მოიხმარს.

კასატორის მითითება მის მიმართ საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ უსაფუძვლოა.

გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილისა და მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებულ ა. ა-შვილს გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ა. ა-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 1 წლით, 5 თვით და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა - 2 000 ლარი.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ომზარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ჯ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განაჩენით:

რ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მეოთხე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით - 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 დეკემბრიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

დამტკიცდა მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება.

დ. ც-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მეოთხე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის გამოყენებით მან დანიშნული სასჯელიდან 8 წელი და 6 თვე უნდა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთით, ხოლო დანარჩენი 5 წელი ჩეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 3 დეკემბრიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ რ. ჯ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 3 დეკემბერს რ. ჯ-ძემ და დ. ც-მა განიზრახეს თურქეთის რესპუბლიკაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა და საქართველოში მისი ასევე უკანონოდ შემოტანა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ორივე გაემგზავრა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში. სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით გადაკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და გადავიდნენ თურქეთის რესპუბლიკაში ნარკოტიკული საშუალების შესაძენად. რ. ჯ-ძემ და დ. ც-მა თურქეთის რესპუბლიკაში, წინასწარი შეთანხმებით, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინეს 4,07 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის ნაწილი - 4,0 გრამი შესანახად და თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსატანას რ. ჯ-ძემ გადასცა დ. ც-ს, ხოლო 0,07 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი" უკანონოდ შეინახა შარვლის ჯიბეში და საქართველოში უკანონოდ შემოიტანა.

2008 წლის 3 დეკემბერს შსს სოდ-ის აჭარის სამმართველოს თანამშრომლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ხელვაჩაურის რაიონის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს რ. ჯ-მე და პირადი ჩხრეკის შედეგად ამოიღეს 0,07 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

მანვე 2008 წლის 26 სექტემბერს, ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგ, კვლავ უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2008 წლის 3 დეკემბერს აჭარის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში სამედიცინო გამოკვლევის შედეგად.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

რ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 2000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოებრივი (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

მსჯავრდებულ რ. ჯ-მის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. ჭ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ რ. ჯ-მე აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, არის ავადმყოფი და საჭიროებს მკურნალობას, ჰყავს მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების - ი. ბ-მისა და რ. ჩ-მის ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულ რ. ჯ-მის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო რ. ჯ-მის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, მას განესაზღვრა სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება), მსჯავრდებულ რ. ჯ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელოდ უნდა განესაზღვროს 23 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ასევე ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება), მსჯავრდებულ რ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ რ. ჯ-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით, 262-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" და მეოთხე ნაწილის "ა" ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 23 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#988-აპ-09

22 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 21 სექტემბრის განაჩენით ო. ყ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

რუსთავში მცხოვრებმა ო. ყ-შვილმა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება - 17,08 გრამი გამომშრალი "მარიხუანა", რომელიც გაახვია ქაღალდში და შეინახა შარვლის ჯიბეში, რაც 2009 წლის 23 ივნისს, პირადი ჩხრევისას ამოიღეს პოლიციელებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის ო. ყ-შვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 23 ივნისიდან. მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ე. მ-შვილმა და ითხოვა ო. ყ-შვილის გამართლება, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ო. ყ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ო. ყ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და უსამართლოა; მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია; არის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ წევრი; არანაირი ჩხრეკა არ ჩატარებია, ისე დააკავეს და წაიყვანეს სამმართველოში; იქ შედგა პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმები, სადაც ჩაწერეს, რომ ვითომ აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“; ნარკოტიკებთან შეხება არ ჰქონია, რაც დადასტურდა ექსპერტიზის დასკვნითაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მისი უდანაშაულობის შესახებ, რადგან საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის - პირადი ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და მოწმეთა ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული ო. ყ-შვილის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო სასჯელის ნაწილში - სამართლიანი და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იმის გათვალისწინებით, რომ ო. ყ-შვილი სასჯელს იხდის 2009 წლის 23 ივნისიდან, მას ამ განჩინებით განსაზღვრული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ო. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ო. ყ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ო. ყ-შვილს დანიშნული სასჯელი ჩაეთვალოს მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#933-აპ-09

24 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. პ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს განაჩენით ე. პ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა და მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ე. პ-ის ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის დადგენილებით დაეკისრა ჯარიმა - 500 ლარი. იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ, 2007 წლის 23 სექტემბერს ე. პ-ია დააკავეს ქ. ფოთში და გადაიყვანეს ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც შემოწმების შედეგად მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) მიღება.

აღნიშნული ქმედებისათვის ე. პ-ის მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 8 თვე, 9 დღე და საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით, 2 თვითა და 9 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2009 წლის 4 აგვისტოდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა და ითხოვეს ძირითად სასჯელად ჯარიმის დანიშვნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ე. პ-ია საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მკაცრია. სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი თანამშრომლობა გამოძიებასთან, დანაშაულის აღიარება და მონაწილეობა, ასევე ის, რომ კმაყოფიან ჰყავს პენსიონერი მშობლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს, დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის პირობითად ჩათვლას, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას, რასაც კასატორიც არ უარყოფს.

რაც შეეხება სასჯელს, იგი განსაზღვრულია ე. პ-ის პიროვნების მახასიათებელი მონაცემების, მათ შორის - მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გარდა ამისა, ე. პ-ის უნდა გაუნახევრდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 დეკემბრისა და 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენებით სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელების მოუხდელი ნაწილი, შესაბამისად, 4 თვით, 15 დღით და 4 თვით და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ე. პ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის

ნის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ე. პ-ის გაუნახვერდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ამავე კანონის 1-ლი მუხლის მე-2, მე-3 ნაწილების შესაბამისად, ე. პ-ის გაუნახვერდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 21 დეკემბრის განაჩენით სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 თვით და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 2 თვით და 12 დღით თავისუფლების აღკვეთა;

ე. პ-ის გაუნახვერდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 11 სექტემბრის განაჩენითა და ამავე სასამართლოს 2008 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით სსკ-ის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 4 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 2 თვით და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ე. პ-ის საბოლოოდ განესაზღვროს 3 წლით, 6 თვით და 18 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს 2009 წლის 4 აგვისტოდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#946-აპ-09

28 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. პ-ურის ინტერესების დამცველი ადვოკატის - თ. ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 მარტის განაჩენით ლ. პ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 273-ე მუხლით (2008 წლის 9 ივლისისა და 8 აგვისტოს ეპიზოდები) - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახვერდა და განესაზღვრა 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. პ-ურს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ლ. პ-ურს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა - 143 ლარი და 100 აშშ დოლარი.

იმავე განაჩენით დამტკიცდა პროკურორ თ. პ-ასა და განსასჯელ ხ. ხ-ევს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ხ. ხ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“

2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე მას დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 10000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილით ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა 2008 წლის 5 ივნისის განაჩენით დანიშნული, მოუხდელი სასჯელი, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ხ. ხ-ევს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის გამოყენებით ხ. ხ-ევმა დანიშნული სასჯელიდან 2 წელი უნდა მოიხადოს თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო დარჩენილი 3 წელი ჩათვლება პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 10000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ხ. ხ-ევს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ისინი სასჯელს იხდიან 2008 წლის 7 აგვისტოდან.

განაჩენით ლ. პ-ურს მსჯავრი დაედო პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით, ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ;

მანვე ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების განსაკუთრებით დიდი ოდენობით, უკანონოდ შეძენა, შენახვა, გასაღება იმის მიერ, ვისაც ჩადენილი აქვს პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულ სახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით ლ. პ-ურს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმა - 500 ლარი.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ: 2008 წლის 9 ივლისს, დაახლოებით 14.35 საათზე, თბილისში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს ლ. პ-ური და გადაიყვანეს ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად. საქართველოს შსს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასკვნის თანახმად, იგი კლინიკურად არ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, ხოლო ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარების ფაქტი, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

მანვე, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და თავის საცხოვრებელ ბინაში მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“, რომლის ნაწილიც 2008 წლის 7 აგვისტოს თავისი დროებითი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაასაღა ხ. ხ-ევზე, რაშიც სანაცვლოდ აიღო შესაბამისი თანხა.

2008 წლის 7 აგვისტოს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ლ. პ-ურის დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში ჩაატარეს ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად ოთახში არსებული კარადის თაროდან ამოიღეს 9 ცალად დაფასოებული, ე.წ. „სკოჩით“ გადახვეული ბურთულები, რომლებშიც მოთავსებული იყო მოყავისფრო-მოყვითალო ნივთიერება. ასევე, საცხოვრებელ ოთახში, მაგიდიდან ამოიღეს 4 ცალი ინსულინის შპრიცი.

საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის #940/სქ დასკვნით, ლ. პ-ურის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული, 9 ცალად დაფასოებული, მოყავისფრო-მოყვითალო ფხვიერი ნივთიერება, საერთო წონით - 117,04 გრამი, წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ, ნარკოტიკულ საშუალება - „ჰეროინის“ შემცველ ნარევს, რომელშიც „ჰეროინის“ წონაა - 31,6008 გრამი, ხოლო საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის #940/სქ დას-

კვნით, ლ. პ-ურის მიერ გადაცემული, ხ. ხ-ევის პირადი ჩხრევისას ამოღებული, მოყავისფრო-მოყვითალო ფხვიერი ნივთიერება, წონით - 0,2928 გრამი, წარმოადგენს კუსტარული წესით მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება - „ჰეროინის“ შემცველ ნარევს, რომელშიც „ჰეროინის“ წონაა - 0,079 გრამი.

2008 წლის 8 აგვისტოს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვასა და გასაღებაში ექვმიტანილი ლ. პ-ური გადაიყვანეს ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად და მას საქართველოს შსს ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს #5033124 დასკვნით, ლაბორატორიულად დაუდგინდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფისა და ფსიქოტროპული საშუალების - „ბენზოდიამინების“ ჯგუფის უკანონოდ მოხმარების ფაქტი, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. პ-ურის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ნ-იამ, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანა, ბრალდების ფორმულირებიდან ნარკოტიკული საშუალების გასაღების ამორიცხვა და ლ. პ-ურისათვის მინიმალური სასჯელის შეფარდება.

აპელანტს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 მარტის განაჩენი ლ. პ-ურის მიმართ არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან ლ. პ-ურს არ ჩაუდენია ნარკოტიკული საშუალების გასაღება და იგი ამ ნაწილში უნდა გამართლდეს. პირველი ინსტანციის სასამართლოში მან ბრალი სრულად აღიარა იმიტომ, რომ დაჰპირდნენ ბრალის აღიარების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ამასთან, აპელანტს მიაჩნია, რომ ლ. პ-ურის მიმართ შეფარდებული სასჯელი არის ზედმეტად მკაცრი, ვინაიდან მას ჰყავს მეუღლე და ავადმყოფი დედა, ხოლო მამა გარდაეცვალა მისი დაკავების დღეს. ლ. პ-ური არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი და მის გარეშე ოჯახს შეექმნება უკიდურესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. პ-ურის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ნ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენიდან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით ნარკოტიკების გასაღებისათვის წარდგენილ ბრალდებაში მსჯავრდებულის გამართლება და მისთვის სასჯელის მინიმუმის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: ექვმიტანილის დაკავების, პირადი და ბინის ჩხრევის ოქმებით, თავად მსჯავრდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, ხ. ხ-ევის, მსჯავრდებულის მეუღლის - ხ. ნ-შვილის ჩვენებებით, მოწმეების: ტაქსის მძღოლ ა. ს-შვილის ჩვენებით (რომლის განმარტებითაც მან დაინახა, თუ როგორ გადასცა ხ-ევმა წინ მჯდომ ლ. პ-ურს ფულადი თანხა და ამ უკანასკნელისაგან მიიღო პატარა ზომის პრიალა ნივთი, რის შემდეგაც დაახლოებით ერთ წუთში მისი მეზავრები დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა), თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლების - ზ. მ-შვილის, რ. ჩ-ელის, გ. ბ-ურის, ვ. პ-შვილის, ვ. დ-იას, კ. მ-ძის, ნ. შ-შვილის ჩვენებებით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის #939/სქ და #940/სქ დასკვნებით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს #5032493 და 5033124 დასკვნებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ლ. პ-ურის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ლ. პ-ურის ინტერესების დამცველი ადვოკატის - თ. ნ-იას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისთვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის შეფარდების თაობაზე, რადგან სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას სრულად გაითვალისწინა ლ. პ-ურის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე - მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და განუსაზღვრა

სასჯელის ისეთი ზომა, რომელსაც პალატა ეთანხმება და თვლის, რომ არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ლ. პ-ურის ქმედება მოიცავს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ე" ქვეპუნქტის დამახასიათებელ ნიშნებს, რადგან ამ კვალიფიკაციის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სსკ-ის 33-ე თავით გათვალისწინებული დანაშაული, ე.ი. იმას, ვის მიმართაც ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულისათვის განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული, რასაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ლ. პ-ურის ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ე" ქვეპუნქტით კვალიფიკაციაზე და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. პ-ურს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 9 ივლისისა და 8 აგვისტოს ეპიზოდები) დანიშნული სასჯელები - 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 1,5-1,5 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. პ-ურს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა (ორი ეპიზოდი) და 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით, საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. პ-ურის ინტერესების დამცველი ადვოკატის - თ. ნ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ლ. პ-ურის ქმედების საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ე" ქვეპუნქტით კვალიფიკაციაზე და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. პ-ურს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 9 ივლისისა და 8 აგვისტოს ეპიზოდები) დანიშნული სასჯელები - 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 1,5-1,5 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. პ-ურს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა (ორი ეპიზოდი) და 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით, საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება

განჩინება

#1006-აპ-09

29 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. კ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 აპრილის განაჩენით ლ. გ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 13 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის I ნაწილით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 1 წელი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით დანიშნულ სასჯელს დაემატა 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით შეფარდებული და 2008 წლის 21 ნოემბრის ამნისტიის საფუძველზე განახევრებული სასჯელი - 6 თვე და განაჩენთა ერთობლიობით ლ. გ-მეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 5 აგვისტოდან.

ლ. გ-მეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 15 წლით - საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ლ. გ-მეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვასა და გასაღებაში; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში; ასევე - პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ლ. გ-მემ განიზრახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვა და გარკვეული მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით მისი შემდგომში გასაღება. მან გამოძიებისათვის დაუდგენელ დროს ჯ. პ-ვისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა თავისავე საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. რუსთავში.

2008 წლის 20 ივნისს ლ. გ-მემ უკანონოდ შეძენილი და შენახული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინიდან“ ნაწილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“, წონით - 3,9768 გრამი, უკანონოდ გაასაღა ლ. ფ-მეზე, რომელიც 2008 წლის 21 ივნისს დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა და მისივე ბინის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ლ. გ-მის მიერ ლ. ფ-მეზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით, უკანონოდ გასაღებული ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“, საერთო წონით - 5,2006 გრამი და 0,1 მლ ხსნარი, რომელიც შეიცავდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ - 3,9768 გრამს.

2008 წლის 5 აგვისტოს ძველი თბილისის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა ქ. თბილისში დააკავეს ლ. გ-მე, ხოლო მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, კერძოდ, სასტუმრო ოთახში, ხის კარადიდან ამოიღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება - „ჰეროინი“, ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში ერთ „ბაზად“ დაფასოებული გრანულის სახით, ასევე „სამსუნგის“ ფირმის მაცივრიდან - ფაიფურის ჭიქაში მოთავსებული, თეთრ, გამჭვირვალე პოლიეთილენის ნაჭერში ერთ ცალად დაფასოებული გრანულებისა და ფხვნილის სახით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საერთო წონით - 1,2587 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საერთო რაოდენობა შეადგენს 0,5538 გრამს.

ლ. გ-მემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა 1919-1923 წლების მოდელის, 9 მმ კალიბრის, უნომრო, უცხოური წარმოების „ბერეტას“ მსგავსად დამზადებული ცეცხლსასროლი, სროლისათვის ვარგისი პისტოლეტი და 9 მმ კალიბრის, 1908 წლის ნიმუშის „ბორხარტ-ლუგერის“ პისტოლეტისათვის განკუთვნილი 10 ვაზნა, რომელიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. აქედან 8 ვაზნა მო-

თავსებული ჰქონდა ზემოაღნიშნული იარაღის მჭიდში, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავისავე საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. რუსთავში. 2008 წლის 5 აგვისტოს ლ. გ-მის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულ იქნა მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი და 10 საბრძოლო მასალა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით ლ. გ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით და შეეფარდა ჯარიმა - 10 000 ლარი.

მანვე 2008 წლის აგვისტოში, ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. 2008 წლის 5 აგვისტოს ქ. თბილისში, ძველი თბილისის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ლ. გ-მე და შესამოწმებლად გადაიყვანეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც მას დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. გ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მემ. საჩივარში აპელანტი აღნიშნავდა, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და იგი უნდა შეიცვალოს, ვინაიდან განაჩენი ეყრდნობა ლ. გ-მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ აღიარებით ჩვენებებსა და ლ. ფ-მის ჩვენებას, რომელსაც აღნიშნულის საფუძველზე გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ამდენად, აპელანტმა ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ლ. გ-მის გამართლება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში - მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. გ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულ ლ. გ-მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, ხოლო დანარჩენ ნაწილში - განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ლ. გ-მის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. კ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ლ. გ-მის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ხოლო დანარჩენ ნაწილში - განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ, უსაფუძველოების გამო.

საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულის ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, დაკავების, ბინის ჩხრეკის ოქმებით, მოწმეების: ნ. ო-მის, ვ. მ-მის, ლ. ფ-მის ჩვენებებით, ქიმიური ექსპერტიზის #929/სქ და #711/სქ დასკვნებით, ნარკოლოგიური შემოწმების #5023062 დასკვნით, რომლის თანახმადაც ლ. გ-მეს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის მოხმარების ფაქტი, ბალისტიკური ექსპერტიზის #583/ბ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ლ. გ-მის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების გარდა, დადასტურებულია, მაგრამ სწორი სამართლებრივი შეფასება არა აქვს მიცემული.

როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო განხილვისას ლ. გ-მემ თავი დამნაშავედ ცნო მხოლოდ სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით წარდგენილ ბრალდებას, იგი არ ეთანხმება. მსჯავრდებულმა ლ. გ-მემ სააპელაციო სასამართლო-

ში განმარტა, რომ იყო ნარკოტიკების მომხმარებელი, მაგრამ მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მას სახლში ნარკოტიკი არ ჰქონია და არ იცის, იგი იქ საიდან გაჩნდა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ლ. გ-ძის მიმართ შერაცხული მსჯავრდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში – ემყარება მხოლოდ ბრალდების მოწმის – ლ. ფ-ძის მიერ მიცემულ ჩვენებებს.

მოწმის სახით დაკითხვისას ლ. ფ-ძემ დაადასტურა, რომ არის ნარკოტიკების მომხმარებელი. დაახლოებით სამი თვის წინ ლ. გ-ძემ უთხრა, რომ უფასოდ მისცემდა ნარკოტიკებს, თუ იგი მოახდენდა აღნიშნული ნარკოტიკის რეალიზაციას, კლიენტებს კი თავად გაუფანჯანდა. ლ. ფ-ძემ დაადასტურა, რომ ლ. გ-ძემ მას გადასცა 4 ცალი, შავ პოლიეთილენის პარკში შეფუთული ნარკოტიკული ნივთიერება; 5 ცალი, მოწითალო პოლიეთილენის პარკში შეფუთული „ჰეროინი“ და 2 ცალი, ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში შეკრული ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის საფასურიც შეადგენს 3500 ლარს.

არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძიებისას არ ყოფილა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ლ. გ-ძის მიერ ნარკოტიკების გასაღების ჩადენის ფაქტს.

საკასაციო პალატის აზრით, საქმე განხილულ იქნა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, შესაბამისად, არ მისცეს მათ სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნარკოტიკების გასაღების ნაწილში აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე. ზემოაღნიშნული ბრალდების მოწმის მიერ მიცემული ჩვენებები ნარკოტიკების გასაღების ნაწილში ნაკლებ სარწმუნოა, არც სხვა მტკიცებულებითაა გამყარებული და, შესაბამისად, უტყუარ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა.

საქართველოს სსსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ლ. გ-ძე არის ნარკოტიკების გამსაღებელი. საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ“, ხოლო იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

პალატას არასწორად მიაჩნია ლ. გ-ძის ქმედების კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

„უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნუსხის“ თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 23 ივლისის დადგენილებით „ჰეროინი“ გათვალისწინებულია, როგორც ნარკოტიკული საშუალება და დიდ ოდენობად ითვლება 1 გრამი, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად – 1 გრამზე მეტი.

ლ. გ-ძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული, ვერცხლისფერ ფოლგის ქაღალდში ერთ ცალად დაფასოებული, მოყავისფრო-მოყვითალო ნივთიერება, ერთი გრანულის სახით, წონით – 1, 057 გრამი და თეთრ, გამჭვირვალე პოლიეთილენის ნაჭერში ერთ ცალად დაფასოებული მოყავისფრო-მოყვითალო ნივთიერება, ფხვნილისა და გრანულების სახით, წონით – 0,2017 გრამი, წარმოადგენს კუსტარულად მიღებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინის“ შემცველ ნივთიერებას, საერთო წონით – 1, 2587 გრამი, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ საერთო რაოდენობაა – 0,5538 გრამი, ხოლო დანარჩენი – არანარკოტიკული მინარევა.

იმასთან დაკავშირებით, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით ლ. გ-ძე მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის ქმედება მოიცავს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის დამახასიათებელ ნიშნებს, რადგან ამ კვალიფიკაციის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სსკ-ის 33-ე თავით გათვალისწინებული დანაშაული, ე.ი. მას, ვის მიმართაც ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულისათვის განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული, რასაც ადგილი აქვს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ ლ. გ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის II ნაწილის "ა", "ე" ქვეპუნქტებზე და სასჯელად განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. გ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ლ. გ-ძეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით უნდა ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. გ-ძეს "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე ასევე უნდა გაუნახვერდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით შეფარდებული და ამნისტიის საფუძველზე განახვერებული სასჯელი - 6 თვე და მოსახდელად განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 67-ე მუხლის V და 59-ე მუხლის II ნაწილების გამოყენებით, საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ლ. გ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ ლ. გ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს იმავე მუხლის II ნაწილის "ა", "ე" ქვეპუნქტებზე და სასჯელად განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ლ. გ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ნარკოტიკების გასაღების ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ლ. გ-ძეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახვერდეს და მოსახდელად განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. გ-ძეს "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე ასევე გაუნახვერდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განაჩენით შეფარდებული და ამნისტიის საფუძველზე განახვერებული სასჯელი - 6 თვე და მოსახდელად განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 260-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 67-ე მუხლის V და 59-ე მუხლის II ნაწილების გამოყენებით, საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.
განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.